ექსპერიმენტული გამოკვლევა ჩატარებულია 96 შინაურ კურდღელზე სამ სერიად. სისხლის ბიოქიმიური ანალიზისა და აორტის კედლის მაკროსკოპული, ჰისტოლოგიური, ჰისტოენზიმოქიმიური, ელექტრონომიკროსკოპული და მსკენირებელი ელექტრონომიკროსკოპული გამოკვლევების დინამიკაში დადგენილია გეზაფიბრატის დადებითი სამკურნალო და პროფილაქტიკური ეფექტი, განსაკუთრებით მიზანშეწონილია მისი პროფილაქტიკური მიზნით გამოყენება.

CYTOLOGY

A. I. GUGESHASHVILI, R. V. KAPANADZE, L. D. CHEISHVILI

EXPERIMENTAL SUBSTANTIATION OF THE THERAPEUTIC AND  
PROPHYLACTIC USE OF THE ANTISCLEROTIC DRUG  
BEZAFIBRAT

Summary

Experiments were carried out on 3 groups of 96 domestic rabbits: I—controls, II—“prophylactic”, III—“therapeutic”. The “prophylactic” animals simultaneously received cholesterol (25 g/kg) and bezafibrat (135 mg/kg); the “therapeutic” group was treated with bezafibrat for 90 days after the induction of experimental atherosclerosis. Biochemical analysis of blood samples as well as histochemical, electron microscopic and scan electron-microscopic study of the aorta indicates good therapeutic, and especially prophylactic, action of bezafibrat.

## ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. А. Н. Климов, Т. А. Синицына, В. А. Нагорнев. Арх. пат., 11, 1975, 3—16.
2. А. Н. Климов. Кардиология, 2, 1976, 12—17.
3. А. Н. Климов. Кардиология, 8, 1980, 5—12.
4. Б. В. Шехонин, С. П. Домогатский, А. В. Рудин, В. С. Рукосуев. Арх. пат., 3, 1984, 18—24.
5. В. Х. Анестиади, В. А. Нагорнев. Арх. пат., 3, 1984, 10—16.
6. А. Н. Климов, А. Г. Виноградов, В. А. Нагорнев. Арх. пат., 7, 1979, 61—68.
7. А. Н. Климов, Н. Г. Никульчева. Липопротеиды, дислипидемия и атеросклероз. Л., 1984.
8. Э. М. Тарарак, Г. О. Хмельницкая. Арх. пат., 11, 1975, 80—86.
9. K. Stegmeier, S. Stork. Intern. Conf. on Atherosclerosis. Raven Press, New York, 1978.
10. K. Stegmeier *et al.* Lipoproteins and Coronary Heart Disease. Witzstrock Publishing House, New York, 1980.
11. Г. Г. Автандилов, И. С. Круглова. Бюлл. эксп. биол. и мед., 10, 1970, 15—18.

А. М. ГАГУА, Л. Л. ГУГУШВИЛИ

## НОВАЯ КОНЦЕПЦИЯ ПАТОГЕНЕЗА ОСТРОЙ ПЕЧЕНОЧНОЙ НЕДОСТАТОЧНОСТИ И РАЗРАБОТКА РАДИКАЛЬНОГО МЕТОДА ЛЕЧЕНИЯ — ОРТОТОПИЧЕСКОЙ ПЕРЕСАДКИ ПЕЧЕНИ

(Представлено членом-корреспондентом Академии И. К. Пагава 27.4.1984)

С целью изучения возможности возникновения острой печеночной недостаточности (ОПН) и разработки патогенетически обоснованных методов ее лечения нами было поставлено 10 серий опытов на 340 собаках и 5 свиньях, проведено ангиологическое исследование печени 30 собак, погибших после пересадки печени от печеночной комы, топографо-анатомическое и рентгено-вазографическое исследование печени 80 трупов людей, среди которых 40 умерли от ОПН.

Кроме того, был проанализирован клиничко-секционный материал 150 лиц, погибших за 1969—1979 гг. в НИИ СП им. Н. В. Склифосовского МЗ РСФСР от печеночной и печеночно-почечной комы, на основании которого были выявлены наиболее часто встречающиеся в клинике причины развития ОПН. Для раскрытия патогенеза ОПН, кроме клиничко-секционного материала, был использован также метод распознавания образцов, состоящих из совокупности множества факторов. Исходным материалом служили история болезни и информационная карта оценки эффективности хирургического лечения ОПН. Метод лечения вписывался в первоначальные варианты карт с несколькими десятками характеристик (параметров) — данными динамики биохимических анализов экспериментально-клинического материала, параметрами гистоморфологических исследований и т. д. [1—3].

Анализ клиничко-секционного материала показывает, что в развитии ОПН основное место занимают нарушения портального кровообращения. Острое нарушение гемодинамики и развитие ОПН в большинстве случаев не приводят к необратимым изменениям структуры внутриорганных сосудов и паренхимы печени. При хроническом течении процесса (цирроз печени) выраженность нарушений гемодинамики достигает крайней степени. Однако и в том, и в другом случае выявленные нарушения циркуляции в сосудистых терминалях неизбежно зависят от пред- и посторганной сосудистой системы. Ввиду того что характер таких изменений окончательно не выяснен, нами была предпринята попытка изучить ангиоархитектонику магистральных сосудов печеночной системы.

В результате анализа данных рентгено-вазографического исследования печени был выявлен ряд закономерных изменений в экстра- и интраорганных сосудистых системах и желчевыведительных путях. Так, например, характерно, что при инъекции в портальную систему в начальной стадии патологии контрастная взвесь не переходит из нее в систему других вен (в нижнюю и печеночную), что имеет место при далеко зашедших формах заболевания.



При выраженной и терминальной стадиях ОПН из артериального кровообращения оказывается выключенной большая часть ветвей печеночной артерии. При далеко зашедших формах ОПН печеночные вены и их ветви в огромной массе и очень густо покрывают гепатограмму, затрудняя определение их количества и формы. Расширение печеночных вен начинается в начальной стадии развития ОПН и достигает максимальной степени при терминальной стадии процесса. Желчный пузырь увеличен, переполнен желчью, напряжен и отечен. Внутриорганные желчные протоки резко расширены и содержат большое количество желчи [4—6].

Таким образом, выявленные закономерности анатомо-морфологических изменений структуры печеночной ткани и ее сосудистых систем убедительно доказывают важное значение нарушения гемодинамики в развитии ОПН, однако не раскрывают динамики процесса и не дают представления о характере функциональных нарушений печени.

Результаты экспериментов позволяют заключить, что ретроградное введение  $\text{CCl}_4$  в желчные пути после перевязки печеночной артерии и общего желчного и пузырного протоков способствует развитию повреждения структуры печени при относительной сохранности других органов, т. е. практически исключает выявление внепеченочных факторов [7].

В опытах на собаках доказано, что перевязка воротной вены обуславливает быстрое нарастание давления до 500 и более мм вод. ст., и разность венозного давления в кавальной системе в тех же условиях равна  $49,361 \pm 1,297$  мм вод. ст. Анализ цифровых данных показывает, что в ответ на перевязку воротной вены наблюдаются определенные закономерности, указывающие на приспособляемость венозной системы. Определенный интерес представляет динамика венозного давления в системе печеночных вен. В норме венозное давление в печеночных венах выше, чем в системе воротной вены. Разница давления в системе печеночных и воротной вен колеблется от 10 до 40 мм вод. ст. Эти соотношения существенно нарушаются после перевязки воротной вены и характеризуются значительным падением венозного давления в печеночных венах (до 0—1 мм вод. ст.). Высокие адаптационные возможности как портальной, так кавальной системы, в особенности печеночных вен, оказываются небезграничными. При истощении компенсаторных возможностей в процессе перераспределения крови наступает фаза декомпенсации и необратимых гемодинамических расстройств [8—10].

На основании комплексных исследований было выявлено, что ведущим фактором в патогенезе ОПН является нарушение портального кровообращения, развивающееся на почве различной интоксикации с определенной последовательностью. Попадание токсинов в портальную систему вызывает раздражение, отек и пролиферацию купферовских клеток, выстилающих синусоиды; просвет последних суживается и даже закрывается. Одновременно с этим рефлекторно замыкаются шлюзовые аппараты естественных порто-кавальных анастомозов. В результате возникает острая портальная гипертензия, резко повышается внутрипеченочное давление, вызывая нарастающую компрессию внутриорганных сосудов, желчных протоков и паренхимы печени. Нарушаются приток и отток артериальной крови, что способствует развитию отека печени. Наступает полная блокада портального кровообращения как в печени, так и в желудочно-кишечном тракте. Скопление большого количества крови в портальной системе влияет на общее кровообращение, вызывая развитие сердечной недостаточности, быстро ведущей к летальному исходу.

С целью изыскания эффективных методов лечения ОПН на зараженные смоделированных собаках исследовались артериализация печени, дренирование грудного лимфатического протока, экстракорпоральная подсадка алло- и ксеногенной печени. Кроме того, разрабатывались различные методы пересадки печени. С этой целью были осуществлены специальные исследования на трупах людей (80) и собак (30). По полученным данным, для получения положительных результатов каждый метод пересадки должен иметь анатомо-физиологическое обоснование, это неперемное условие [11, 12]. В этой связи нами вместе с сотрудниками НИИ СП им. Н. В. Склифосовского (Л. Л. Гугушвили, В. П. Демихов, В. М. Горайнов) были проведены исследования по гетеротопической аллотрансплантации печени (пересадка второй, дополнительной печени), задачами которых явились: а) топографо-анатомическое обоснование данной методики на трупах людей; б) отработка операционной техники в условиях эксперимента на собаках и в) определение целесообразности ее применения в клинике. Кроме того, были проведены опыты по частичной и комплексной пересадке печени (вместе с двенадцатиперстной кишкой и поджелудочной железой) и определена целесообразность их применения [13].

Операция ортотопической пересадки печени производилась по нашему методу: донорская печень подключалась к бедренно-подключичным артерио-венозным шунтам реципиента через печеночную артерию и воротную вену трансплантата, затем производилось удаление печени реципиента и на ее место помещался трансплантат, его сосуды соединялись с соответствующими сосудами реципиента. Предлагаемая техника пересадки печени исключает деструктивное действие циркуляторной ишемии на трансплантат и необходимость консервации трансплантата печени [14].

НИИ экспериментальной  
и клинической хирургии  
МЗ ГССР

(Поступило 28.9.1984)

ქვეყნიერების მდივანი

ა. ზაბუა, ლ. ზუზუშვილი

ლვიძლის მწვანე უკვანისობის კათოღანეზის ახალი კონცეფცია და რადიკალური მეთოდის დამუშავება — ლვიძლის ორთოტოპიული გადაწერვა

რეზიუმე

ლვიძლის მწვანე უკვანისობის მკურნალობის მიზნით ჩვენ დავამუშავეთ ლვიძლის ორთოტოპიული გადაწერვის ახალი ოპერაცია, რომლის უპირატესობა შემდეგში მდგომარეობს: ტრანსპლანტატის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება ოპერაციის დროს, მისი ტროფიკის დარღვევის კორეგირება, ტრანსპლანტატის დღემდე მოწოდებული ნაკლებეფექტური საკონსერვაციო საშუალებების გამოყენების თავიდან აცილება. ოპერაციის ტექნიკის გამართლება (სავტორო მოწმობა № 706070).



A. M. GAGUA, L. L. GUGUSHVILI

## A NEW CONCEPTION OF ACUTE PATHOGENESIS OF HEPATIC INSUFFICIENCY AND THE DEVELOPMENT OF A RADICAL METHOD OF TREATMENT: ORTHOTOPIC TRANSPLANTATION OF THE LIVER

### Summary

On the basis of extensive clinical, experimental and morphological investigations the authors have come to the conclusion that the main factor in acute liver insufficiency is an acute disturbance of portal blood circulation and retrograde flow of blood to the liver through the hepatic veins owing to compression of the intrahepatic vein branches.

The available techniques of orthotopic transplantation of the liver are very complex. This is due to the considerable difficulties involved in the temporary conservation of the transplant (before grafting), which hinders its wide implementation in clinical practice.

The authors have developed a method of orthotopic transplantation involving the use of extra- and intra-corporal shunts, which permits the transfer of the graft from donor to recipient without disturbance of circulation in the recipient's circulation system. As a result the functional viability of the transplant is preserved and the technical side of the operation is simplified. (The authors' certificate of invention №706070).

### ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА -- REFERENCES

1. Л. Л. Гугушвили, А. М. Гагуа. Сообщения АН ГССР, 78, № 1, 1975, 205.
2. А. М. Гагуа. Изв. АН ГССР, сер. биол., 7, № 3, 1981, 197—203.
3. А. М. Гагуа, Л. Л. Гугушвили. Сообщения АН ГССР, 108, № 2, 1982, 421—424.
4. А. М. Гагуа. Сообщения АН ГССР, 107, № 1, 1982, 173—176.
5. ა. გ ა გ უ ა. საბჭოთა მედიცინა, № 2, 1977, 36—38.
6. А. М. Гагуа, Труды НИИЭиКХ МЗ ГССР, 17, 1978, 158—162.
7. А. М. Гагуа, Л. Л. Гугушвили, В. П. Демихов и др. Материалы научной сессии Ин-та эксп. и клин. хирургии МЗ ГССР, посв. памяти акад. К. Д. Эристави. Тбилиси, 1977, 488—493.
8. А. М. Гагуа. Сообщения АН ГССР, 97, № 2, 1980, 477—480.
9. А. М. Гагуа, Л. Л. Гугушвили, В. П. Демихов, В. М. Горяйнов. Сообщения АН ГССР, 97, № 2, 1980, 469—472.
10. А. М. Гагуа. Сообщения АН ГССР, 84, № 1, 1976, 205—208.
11. А. М. Гагуа. Сообщения АН ГССР, 87, № 2, 1977, 481—484.
12. В. П. Демихов, Л. Л. Гугушвили, А. М. Гагуа, В. М. Горяйнов. Сообщения АН ГССР, 97, № 1, 1980, 205—208.
13. А. М. Гагуа, Л. Л. Гугушвили, В. И. Демихов, В. М. Горяйнов. Сообщения АН ГССР, 107, № 3, 1982, 621—624.
14. В. П. Демихов, Л. Л. Гугушвили, А. М. Гагуа, В. М. Горяйнов. Бюлл. откр. изобр., пром. обр. и тов. зн., 48, 1979.





ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

Л. П. ДИДМАИШВИЛИ

УЛЬТРАСТРУКТУРНЫЕ ИЗМЕНЕНИЯ В ЦНС ЖИВОТНЫХ  
ПРИ ОСТРОЙ КАННАБИНОЛОВОЙ ИНТОКСИКАЦИИ

(Представлено академиком А. Д. Зурабшвили 20.9.1984)

Целью работы является изучение ультраструктурных изменений в ЦНС животных при острой каннабиноловой интоксикации. Материал разбит на три группы. Первую группу составили случаи, когда кроликам вводился 5% раствор каннабинола в количестве 0,08 мл/кг веса животного. Вторая группа опытов представлена случаями, когда животным вводился 5% раствор каннабинола в количестве 0,8 мл/кг веса животного. В третью группу вошли случаи, когда кроликам вводился 5% раствор каннабинола в количестве 2 мл/кг веса животного. Кролики забивались через 3 часа от начала эксперимента путем введения 0,5 мл наркотозного эфира в полость сердца, затем вскрывалась черепная коробка. Электронно-микроскопическому изучению были подвергнуты кусочки мозга из затылочной и лобной областей коры больших полушарий и медиальной области зрительных бугров. Материал фиксировался в 2% растворе осмия на С-коллидиновом буфере по Беннету и Лафт и заливался в эпон. Срезы контрастировались и просматривались в электронном микроскопе типа УЭМВ-100 Л.

Изучение материала показало, что матрице цитоплазмы с ростом дозы каннабинола усиливает свою электронную плотность. Поэтому органеллы интенсивнее выявляются в случаях, когда доза каннабинола небольшая. С ростом дозы отмечается повышение извитости канальцев эндоплазматического ретикулама, при этом увеличивается площадь гладкого эндоплазматического ретикулама. При большой дозе каннабинола резко возрастает число цистерн эндоплазматического ретикулама, цистерны бесформенные. Одновременно от первой группы к третьей снижается количество связанных рибосом и возрастает число свободных. Особенно в третьей группе увеличивается количество агглютинированных рибосом.

Митохондрии разрушены в третьей группе, тогда как в первой они лишь слабо набухшие, отмечаются частичная дезинтеграция крист, неоднородная осмиофильность, изменение электронной плотности листов мембраны митохондрий (особенно наружного). Матрице митохондрий в первой группе опытов низкой электронной плотности, тогда как в третьей — высокой. Особенно интенсивные изменения выявляются со стороны митохондрий в коре головного мозга по сравнению с изменениями в зрительном бугре.

Аппарат Гольджи претерпевает наиболее интенсивные изменения в третьей группе опытов по сравнению с первой: лизосомы крупные,



число их большое, особенно в третьей группе опытов, содержимое их темное, часто встречаются цитолисомы.

С ростом дозы растет величина перинуклеарного ореола. Что касается ядра, то по форме оно приобретает пилообразный характер (особенно четко это выражено в третьей группе опытов). Около ядра отмечается большое количество митохондрий, последние имеют вытянутую форму, по величине небольшие. Глыбки хроматина распределены неравномерно, наблюдается большое количество крупноглыбчатого хроматина, они часто образуют большие скопления по краю ядра. Перечисленные изменения наиболее интенсивно выражены в третьей группе. Величина нуклеосом изменяется с ростом дозы каннабинола. Что касается ядрышка, то при малой дозе каннабинола оно светлое, некомпактное, тогда как при большой равномерно осмиофильное, компактное. Изменения обнаруживаются также со стороны мембраны ядра. Если в первой группе опытов преимущественно осмиофильность имеет место во внутреннем листке мембраны, а извитость сильнее представлена в наружном листке, между листками небольшие полости, то в третьей группе опытов листки мембраны часто не контурируются, склеены. В местах, где они склеены, отмечается высокая электронная плотность. На электронограммах единичные, большие по величине полости между интенсивно осмиофильными листками.

Миелоновые волокна в третьей группе опытов резко осмиофильны, слабо контурированы, аксоплазма богата фибриллярными элементами.

Изучение синаптических терминалей показало, что матрикс цитоплазмы в первой группе опытов обнаруживает плотность высокой осмиофильности. В терминалях преимущественно наблюдаются мелкие пузырьки с однородным диаметром. Край пузырьков хорошо контурирован, содержимое их светлое, пузырьки распределены по терминали довольно равномерно. Около синаптических щелей выявляются лишь небольшие скопления синаптических пузырьков. В терминале митохондрии слабо набухшие, кристы частично разрушены. Пресинаптическая мембрана осмиофильнее, чем постсинаптическая. Синаптическая щель низкой электронной плотности. Что касается третьей группы опытов, то здесь синаптические пузырьки единичны, по величине крупные, местами не контурируются, расположены по центру. Синаптическая щель вследствие высокой осмиофильности пре- и постсинаптической мембраны не контурируется. Митохондрии в терминалях разрушены.

Таким образом, изменения в коре головного мозга представлены интенсивнее, чем в медиальной области зрительного бугра. Результаты наблюдения говорят о том, что каннабинол сильнее влияет на структуры нейронов в третьей группе опытов по сравнению с первой. Особенно интенсивны изменения со стороны коры головного мозга. Сдвиги указывают на снижение обмена от первой группы опытов к третьей. В цитологическом отношении наиболее интенсивные изменения выявляются со стороны структур, расположенных в цитоплазме нейронов (митохондрии, лизосомы, рибосомы, эндоплазматический ретикулум, аппарат Гольджи).

НИИ психиатрии  
им. М. М. Асатиани  
МЗ СССР

(Поступило 12.10.1984)

ლ. დიდამიშვილი

ცხოველთა ცენტრალური ნერვული სისტემის ულტრასტრუქტურული ცვლილებები კანაბინოლით გწვავი ინტოქსიკაციის დროს

რეზიუმე

ექსპერიმენტულ მასალაზე შესწავლილია კანაბინოლის სხვადასხვა დოზის მოქმედება ცხოველთა ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. კანაბინოლი სხვადასხვანაირად მოქმედებს ცენტრალური ნერვული სისტემის უბნებზე. ციტოლოგიურ დონეზე ნაჩვენებია ნეირონთა სტრუქტურების სხვადასხვანაირი დამოკიდებულება კანაბინოლის მოქმედებაზე.

EXPERIMENTAL MEDICINE

L. P. DIDMAMISHVILI

## ULTRASTRUCTURAL CHANGES IN THE CNS OF ANIMALS DURING ACUTE CANNABINOL INTOXICATION

Summary

The action of various doses of cannabinal on the CNS of experimental animals was studied. Cannabinal affects variously sections of CNS. The interest of neuronal structures with respect to cannabinal action is shown to differ on the cytological level.



მწარობას არ გამორიცხავს ასევე ფ. ერთელიშვილიც [4, გვ. 155], რომლის მიღების გზა ასეთია: უგუმერს-უგუმირა-გუმირი-გმირი: და მოწყუდნეს გმირნი იგი (დაბ. 14. 5); 3. ფოგტი გუმერას გუმეა მასდარის ფუქსთან აკავშირებს [5, გვ. 49]. ჩვენი აზრით, გმირის სემანტიკა თავდაპირველად ასეთი უნდა ყოფილიყო. გმირი იყო ის, ვინც დაიჭრა და ვინც დაჭრა ე. ი. გმირში იგულისხმება როგორც სუბიექტი, ისე ობიექტი. გმირი — დაჭრილი, დაწყულულებული, ომგადახდილი, შემდეგ მიუღია მას გოლიათის მნიშვნელობა. გმირი-კაცი არს დიდი და საზარელი ტანითა და საქმიანთა მეტი და გარდარეული ძალითა და ბუმბერაზი — უმცირეს მათსა, უდიდეს და უმკნეს ჩვენსა [6] დიდი და საზარელი ტანითა და უფროსდა ძალითა და საქმიანთა [7]. ერთი შეხედვით, თითქმის გმირი კომირიელთა სატომო სახელს უკავშირდება: კომირი, სომხ. გამირქ, მაგრამ გმირ სიტყვის ქართულ წარმომავლობასა და ნაზმწარობაზე მეტყველებს ისეთი სიტყვები, როგორცაა გმირვა — ლახვრის კერა და გმ-ურ-ი „ველშუბა“ [6] ვფიქრობთ, გმირის სულხან-საბასეული განმარტება ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობა არ უნდა იყოს.

გმირის ანალოგიურია მზირ ლექსემაც თავისი აგებულებისა და მიღების გზის თვალსაზრისით. უ-მზ-ერ-ს უ-მზ-ირ-ა-მზ-ირ-ი (შდრ. მზე). პირიანი ფორმა: მამაჩემი გიმზირს შენ მოკლვად (მცხეთ. ხელნ. I მეფე. 69.2). ნაზმწარი სახელი: და მზირნი იგი სხდეს დამალულნი სენაკსა შინა (მცხეთ. ხელნ., მსაჯ. 496. 12. იხ. ასევე: მცხეთ. ხელნ. ისო 431.2; სინ. 245, 14).

ზოგ შემთხვევაში, როცა ზმნა აწმყოში ენ სუფიქსიანია, ხოლო აორისტში შესაბამისად -ინიანი, ნაზმწარი სახელი წარმოდგენილია მხოლოდ -ირ სუფიქსით და არა მოსალოდნელი -ინით. სტვენ-ს — უ-სტვენ-ა — სტვე-ირ-ი: დღესა ერთსა აღიღო სტვერი და იწყო სტვენად მით ერთსა ფოლორცთავანსა (მამ. ცხ. 302, 24—25). ზმნისა და სახელის ფუძე ნ//რ და ნ//ლ მონაცვლეობა სხვა შემთხვევებში შენიშნული აქვს გ. დემეტრეს—ვან (ვარ) [8, გვ. 14—15]. თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანს — ძვ. ქართ. ძვრი „ცული, ავი“ შდრ.: განძენ-დ-ა მ-ძენ-ვ-არ-ე [9 გვ. 312] და ალ. ჭინჭარაულს — ქადინი (-ქადილი), წადინი, სიცინი, ღმინი (ღმილი) [10, გვ. 153]..

ჩვენი აზრით, სტვენს-უსტენა — სტვირი (შდრ.: სტუანვა)ს მსგავსად ინიარ სუფიქსითა აბლაუტური მონაცვლეობა გვაქვს კიდევ ერთ ზმნურ ფუძეში. ესაა ა-რ-ცხ-ვე-ნ-ს — ა-რ-ცხ-ვე-ნ-ა-ცხ-ვე-რ-ი. და საშუამინველი დამცხრალ იყო ცხვრისაგან მისთა (შაბტ. 359. 16). შდრ. სა-რ-ცხ-ვენ-ელ-ი (და უწყალოდ სარცხვინელნი თჳსნი გარდაიკუეთნა მამ ცხ. 84,27) და შე-რ-ცხ-ვენ-ებ-ულ-ი (ამის განსაკრთომელისა მხილველი დედაკაცი და განცხვრებისაგან უღონოქმნილი, ხოლო უმეტესდა შერცხვენებული ეტ. VI. 176. 40).

ცხვირისა და არცხვენს, აგრეთვე მო-რ-ცხვ, უ-რ-ცხვ, სი-რ-ცხვ-ილ, ჰ-რ-ცხვენ-იას ერთმანეთთან დაკავშირება ეკუთვნის ვ. თოფურიას, რომლის აზრით, ამ სიტყვებს სემანტიკური კავშირი აქვს ცხვირთან და ამ უკანასკნელისაგან არის ნაწარმოები [11. გვ. 79]. ჩვენი აზრით კი პირიქით — ზმნა ჩანს ამოსავალი სახელისათვის: არცხვენს — არცხვინა — ცხვირი. არნ. ჩიქობავა ქართ. ცხვირს ერთ შემთხვევაში ჰან. დირინ-დ-უ „დაცხიკვება, ცხვირის დაცხინება“, მეგრ. გო-ჩინ-უ (დაცხიკვება)ს უკავშირებს [12, გვ. 37], მეორე მხრივ, ქართ. ცხვირი შესატყვისია ჰან. ჩხვინ-დ-ი||ჩხ-ინ-დ-ი, მეგრ. ჩხვ-ინ-დ-ი-ჩხვინჯისა, სადაც სიტყვის ძირად გამოიყოფა ცხვ-ცვ, ხოლო ხ განვითარებულია. ირ||იგ-ინჯ||ინდ დეტერმინანტი სუფიქსია [12, გვ. 48].

სხვა შემთხვევაში სტვენს — უსტვინა — სტვირი, არცხვენს არცხვინა — ცხვირი სიტყვებისაგან განსხვავებით, როცა აწმყოში — ენია, -აორისტში — ინ, ნაზმნარ სახელში -ილ გვაქვს: ფ რ ჩ ხ-ენ-ს (||ფ-რცხ-ენ-ს) -უ-ფ-რ ჩ ხ-ინ-ა → ფ რ ჩ ხ-ი-ლი, კ ბ-ენ-ს — უ-კ ბ-ინ-ა → კ ბ-ი-ლი. ზოგი -ილ სუფიქსიანი ნაზმნარი სახელი საინტერესოა ქართველურ ენათათვალსაზრისითაც. კერძოდ, კბილ სახელში -ილ ბოლოსართის ნაცვლად მეგრულ-ქანურში -ირ სუფიქსია: კან. კიბ-ირ-ი||კიბ-ი-ი „კბილი“ („ნისკარტი“) ||კიბ-რ-ი||კიბ-რ-ი||კირბ-ი, მეგრ. კიბ-ირ-ი, ხოლო ქართ. კბ-ენ'ს ქანურში შეესატყვისება კიბ-ინ (გა-კიბ-ინ-უ), მეგრულში კიბ-ირ (დო-კიბ-ირ-უ) [12]. „კბილს“ აღმნიშვნელი სახელი ქართულსა და მეგრულ-ქანურში წარმოშობით \*კებ/\*კაბ — ზმნური ძირისაგან (მდრ. ქართ. უ-კბ-ინ-ა, ქან. ქო-გა-კიბ-ინ-უ „id“) -ელ/-ილ სუფიქსით ნაწარმოებ ადიექტივს წარმოადგენს (მდრ. ტეფ.—აქედან ტფ-ილ-ი, ვემ—აქედან ვმ-ელ-ი). სვანური ამავე მნიშვნელობით პირველადს მდიქ — სახელს ხმარობს. უკვე ეს გარემოება იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ ქართ.-ზან. \*კბ-ილ-ი საერთო სიახლეს წარმოადგენს. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ისიც, რომ -ელ||-ილ სუფიქსის ფართო გამოყენება ნაზმნარ ადიექტივთა საწარმოებლად შედარებით გვიანდელი მოვლენაა და ქართულ-ზანურ საერთო ინოვაციად განიხილება. გარკვეული ალბათობით შეიძლება დავუშვათ, რომ სვან. მდიქ „კბილის“ აღმნიშვნელი საერთო ქართველური პირველადი სუბსტანტივის უშუალო რეფლექსს წარმოადგენს, რომელიც ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქაში ამ დიალექტებში შეიცვალა ნაწარმოები \*კბ-ილ სიტყვით [9, გვ. 15].

მაშასადამე, ზემორე განხილულ მაგალითებში -ინ, -ირ, -ილ სუფიქსები ერთი ტიპის ნაზმნარ სახელებში წარმოშობით აორისტის ფუძის საწარმოებლებია. ასეთი წარმოება უძველესია, იმდროინდელი, როცა ენაში მოქმედებდა ქართული ენისათვის დამახასიათებელი თავისებური აბლაუტი, რაც შეეხება კბილ (კიბირ), ცხვირ (ჩხვინდ) სიტყვებს, რომლებიც საერთო წარმოებისაა ქართულსა და მეგრულ-ქანურში, ისინი ქართულ-ზანურის ერთობის საერთო პროდუქტები ჩანან.

შეიძლება დავასკვნათ: ზემოთ განხილულ ნაზმნარ სახელებში -ინ, -ირ, -ილ სუფიქსებს პირობითად ვუწოდებთ სუფიქსები, რადგან ისინი ფუძის კუთვნილებას წარმოადგენენ, თუმცა აორისტის ფუძისაგან ზოგ შემთხვევაში საკმაოდ დაშორებული ჩანს. მაგ., სტვენს — უსტვინა — სტვირი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ შესაძლოა .ნ/რ მონაცვლეობასთან გვექონდეს საქმე, მაგრამ უფრო დასაშვებია ე. წ. „ფართული ფუძის“ არსებობა ენაში, ე. ი. უხდა გვექონოდა ფუძის ორნაირი ვახშოვანება. სტვენს — უსტვინა — \*სტვინი და \*სტვერს — \*უსტვირა — სტვირი ...ენამ ფართული ფუძიდან სტვირ ფორმა აიღო ნაზმნარ სახელად. მაშასადამე, ამჟამინდელი მონაცემი მხოლოდ წინარე ვითარების გადმონაწიში შეიძლება იყოს. ასეთი ფუძეები, ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზების გამო, მოიშალა, რის შედეგადაც ძველი სისტემა ან ფრაგმენტების სახით შემოგვრჩა, ანდა შემოგვრჩა სრული სახით, მაგრამ ფუნქციური ცვლილებებითა და ნაირსახეობებით [13, გვ. 246]. ამრიგად, ირკვევა, რომ ქართულში დადასტურებულ ნაზმნარ სახელებს ქართული ენის ადრეულ საფეხურზე კავშირი ჰქონიათ აორისტის ფუძესთან, უკეთ რომ ვთქვათ, აორისტის ფუძე და ნაზმნარი სახელი მეტერიალურად ერთი და იგივე ოდენობაა. -ინ, -ირ, -ილ სუფიქსები აორისტის ფუძის შემადგენელი ელემენტებია და არა დამოუკიდებელი მაწარმოებლები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

(შემოვიდა 4.10.1984)

Б. А. ЦХАДАДЗЕ

 О ВЗАИМООТНОШЕНИИ АОРИСТА И НЕКОТОРЫХ  
 ОТГЛАГОЛЬНЫХ ИМЕН В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В древнегрузинском языке ряд отглагольных имен имеет общую с аористом основу, полученную путем аблаута: a-č-en-s «показывает», a-č-in-a — č-in-i «свет глаз, зрение», stv-en-s «свистит», u-čv-in-a «засвистел», stv-ir-i «свирель, дудка», prčx-en-s «шарапает», u-prčx-in-a «шошарапал», prčx-il-i «ноготь». В данных словах суффиксы -in, -ir, -il по происхождению являются элементами производящего основ. Такое образование самое древнее и восходит к тому периоду, когда для грузинского языка характерным был своеобразный аблаут.

LINGUISTICS

B. A. TSKHADADZE

 ON THE RELATIONSHIP OF THE AORIST AND SOME  
 VERBAL NOUNS IN OLD GEORGIAN

Summary

In Old Georgian a number of verbal nouns had a common stem with the aorist, being derived through ablaut: a-č-en-s 'shows', a-č-in-a-č-in-i 'light of the eyes, vision', stv-en-s '(he) whistles', u-stv-in-a '(he)whistled', stv-ir-i 'pipe, reed', prčx-en-s 'is scratching', u-prčx-in-a 'scratched', prčx-il-i 'finger-nail'. In these words the suffixes in, -ir, -il are—in terms of origin—elements of underlying stems. Such formation is ancient, dating from the period when a peculiar ablaut was characteristic of Georgian. However, some verbal nouns, e. g. kbili 'tooth' (Megr-Chan kibiri (kibri)), cxviri 'nose' (Megr. čxvindi, Chan. čxvinč'i), are apparently products of the common Georgian-Zan period.

## ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკა. ტფილისი, 1930.
2. ა. შანიძე. თხზულებანი, ტ. III. თბილისი, 1980.
3. ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი, 1973.
4. ფ. ერთელიშვილი. ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში. თბილისი, 1970.
5. H. Vogt. Suffixes verbaux en géorgien ancien WTS. XIV, 1947.
6. ს.-ს. ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. ტფილისი, 1928.
7. ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. თბილისი, 1961.
8. G. Deeters. Über einen n/r wechsel im Geörgischen. Wiesbaden, 1958.
9. თ. გამყრელიძე, გ. შაჰავარიანი. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბილისი, 1965.
10. ალ. ჭინჭარაული. ხევსურულის თავისებურებანი. თბილისი, 1960.
11. ვ. თოფური. შრომები, III, თბილისი, 1979.
12. არნ. ჩიქობავა. ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. ტფილისი, 1938.
13. ბ. ჯორბეანიძე. ქართული ზმნის ფორმოზრევი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები. თბილისი, 1980.

6. ჭეშოქლია

ორწმინდანი  $S_6C$  სტრუქტურის უბუფობი ლაზურში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ 27.1.1986)

ლაზურში მაქსიმალური სიგრძის კონსონანტურა ჯგუფი ერთი მორფემის ფარგლებში შეიცავს ოთხ ელემენტს. პირველი ელემენტის ადგილს იკავებს ნაზალური სონანტი მ (resp. ნ), მეორე ადგილს ანტიერიორული რიგის თანხმოვნები: ბ-ფ-პ, დ-თ-ტ, ძ-ც-წ, ჯ-ჩ-ჭ, ზ-ს-ჟ-შ, მესამეს — პოსტერიორული (უკანა) რიგის თანხმოვნები: გ-ქ-კ-ღ-ხ-ყ, ბოლო წვერის ადგილს იკავებს მხოლოდ ფონემა ვ [1, 127—128]. აქედან გამოიყვანება უფრო დაბალი რიგის — სამ- და ორწვერიანი კონსონანტური ჯგუფები შესაბამისად ერთი ან ორი წვერის ამოღებით და ელემენტთა თანამიმდევრობის დაცვით — რიგების აღრევა დაუშვებელია. ნებისმიერი სიდიდის კონსონანტური ჯგუფის სონანტურ ელემენტს შეადგენს მ (resp. ნ); მხოლოდ ორწვერიან კონსონანტურ ჯგუფებში თავკიდურ პოზიციაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ეპირანტული სონანტი რ. სამ- და ოთხწვერიან ჯგუფებში თავკიდურ პოზიციაში რ-ს მონაწილეობა გამორიცხულია. ის თითო-ორილა გამოჩაქვს, მაგ.: მარტგვარი/მარწკვანი „მარჯვენა“ სახით არსებული, მეგრულ ენობრივ არეალთან მჭიდრო კონტაქტის შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

ფონემა რ ლოკალური რიგების ყველა წვერთან ჩქამიერი თანხმოვნის წინა პოზიციაში ქმნის ორწვერიან ჯგუფების სისტემას. გამოჩაქვის შეადგენს ლარინგალური რიგი, რომელ-ც თითქმის არ ფუნქციონირებს ლაზურში — მისი ფონოლოგიური სტატუსი ნიველირებულია.

რბ: ბურბუ (ხოფ. ვიწ. ათინ. არქ.) „ღამურა“; ქორბა (ხოფ. ათინ. ვიწ. არქ.) „მუცელი“, შდრ. მეგრ. ქორა, ქვარა; ობურბალუ (ხოფ. არქ. ვიწ.) „ტრიალი“.

რფ: ფურფუ (ხოფ. ბუღეფა.) „ფილტვი“; ფარფალი (ხოფ. ათინ. ვიწ. არქ.) „პეპელა“; ფურფუ//პურბუ (ხოფ.) „მჩატე“; რდ/რპ მონაცვლეობენ.

რპ: ჯიკაპურპოლი „აჯიკა“; ყურპიჯონი//ყურპირონი (სარფ.), ყურპიჯონი (ხოფ. არქ.) „ორპირა“ — რპ კომპლექსი მორფემათა გასაყარზეა. რპ კომპლექსი შეიძლება ჩაენაცვლოს რფ-ს (იხ. ზემოთ).

რდ: ორდო (ხოფ. ვიწ. არქ.), ორდო, გორდო (ათინ.) „ადრე, ჩქარა, შდრ. მეგრ. ორდო „დილა, ალიონი“; ორდუ (ხოფ.), ომორდუ (ათინ. ვიწ. არქ.) „გაზრდა“; რდერი > დერი (ხოფ. ვიწ. არქ.) [2, 181] „გაზრდილი“, შდრ. მეგრ. რდულა. ანლაუტში რდ > დ- ასეთი გამარტივება პოზიციით აიხსნება —  $S_6C$  სტრუქტურის ჯგუფები ანლაუტში არ რეალიზდებიან.

რთ: ორთუ (ხოფ. ვიწ. არქ.) „გაყოფა, განაწილება“, შდრ. მეგრ. რთულა „გაყოფა“: გორთუ „გაყო“ [3, 309; 4, 85]. ართი//ართ, ან (ხოფ. ვიწ. არქ.), ა, არ (ათინ.) „ერთი“, შდრ. მეგრ. ართი. ლაზურში რთ > რ; რთ > რ > 0 — აუსლაუტის პოზიციით არის გაპირობებული. ართი — კართი (არქ.), ქართი — ქართი//კარტი — კარტი (ხოფ.) „ერთმანეთი“; რთ მონაცვლეობს რტ-სთან.

რტ: ბერტი (არქ.) „იბატაკი“; ოქირტოლუ (ხოფ. არქ. ვიწ.) „შდერტული“; ქარტო (ხოფ.), ქარტო, ქატო (არქ.) „ქერტლი“: რტ > ტ.





**რძ:** ორძო (ხოფ.), ორძო//ორძუ (ვიწ. არქ.), ორძო, ორზო (ათინ.) „სკამი“: რძ<რზ შდრ. ქართ. სავარძელი [5, 93]. ბალარძალი//ბალაძალი//ბალუძალი, ბალაზალი (ხოფ.) „მრავალძარღვა“: რძ>ძ>ზ. ღურძელი (ათინ. ვიწ. არქ.) „ჭირი, შხამი“, ღურძელი, ღურძუა (ხოფ.) „ავი, ცუდი, ღვარძლიანი“, შდრ. ქართ. ღვარძლი, მეგრ. ღურძელი [4, 203].

**რც:** ოფორცუ (ათინ.) „გაფცქენა“, შდრ. ოპროცუ (არქ.): რც>ც რს მეტათეზისის შედეგად; შდრ. ქართ. ფრცქენა; ხორცი (ათინ. ვიწ. ხოფ.), ხორცი//ხორწი (არქ.) „ხორცი“: რც/რწ.

**რწ:** ბერწული, ბერწული (ხოფ.), ბერწული (ვიწ. არქ.) „ბროწული“; ქარწიშალი (არქ. ვიწ.) ქარციშალი (ათინ.) „ნისლი“: რწ/რც. კოლოპურწა>კოლოპურწა (არქ. ვიწ.) ზღვის ჩიტია, ცურავს და ყვინთავს [6]: რწ>წ.

**რჯ:** ჯირჯილი (ათინ.), ღინჯილი//ღენჯილი, ღინჯილი (ხოფ.) „ღრძილი“, შდრ. მეგრ. ჯირჯილი, ქართ. ღრძილი, ლაზურში რჯ>ნჯ>ნჯგ. ზანურ-ქართულისთვის ამოსავლად მიჩნეულია \*ღრძ-, \*ღრძილი. ოხორჯა, ოხორძა, ოხორწა (ვიწ.), ოხორძა, ოხორწა, ოხორზა, ხორძა//ხორზა (ათინ.) „ქალი“: რჯ>რძ>რწ; რჯ//რძ>რზ. ოჯირჯოლუ//ოჯირყოლუ (ხოფ.) „ღრძილებით ჭამა“: რჯ>რუ.

**რჩ:** ფურჩინი (არქ. ვიწ.), ფურჩოლი, ფურჩული (ხოფ.) „ჩურჩული“, შდრ. მეგრ. ფურცქინი და ქართ. ფუჩინი [3, 331]; დორჩელი//გერჩელი (ხოფ.), დორჩელი (ათინ.) — ლეიბის ქვეშაგები.

**რჭ:** ოკირჭოლუ (ხოფ.) „კრაჭუნი“ (კბილებით): კირჭოლუვს „აკრაჭუნებს“; ბურჭული (ათინ. ვიწ. ხოფ.) „წალდი“, შდრ. მეგრ. ბურჭული, ბურჭუი. ჭურჭა (ვიწ. ხოფ.) „ლობემძვრალა, ჭინჭრაქა“, შდრ. მეგრ. ჭინჭა, ქართ. ჭინჭრაქა. ჭურჭი (<ჭურჯი) (ათინ.), ჭუჯი<ჭურჯი (ხოფ. ვიწ. არქ.) „დიდი ქვაბი“, შდრ. ქართ. ჭური.

**რგ:** ბურგილი (ხოფ.), ბურგული (ათინ. ვიწ. არქ.) „მუხლი“, შდრ. მეგრ. ბირგული, ბურგული, დერგი (ვიწ. არქ.), დერგულა, დერგი, დეგი (ხოფ.) „თავსახურიანი ქოთანია, დერგი“. კომპლექსი შეიძლება გამარტივდეს პირველი კომპონენტს დაკარგვით: რგ>გ. ბერგა (ხოფ. არქ. ვიწ.), ბერჯი (ათინ.) „თოხი“: ათინურში რჯ<რგ.

**რქ:** მარქუქი (ვიწ.), მაქოქი (ხოფ. არქ.); მაკოქი (ათინ.) <მაკოკი<მაქოქი „მაქო“: ქურქუტი//ქურკუტი//კურკურტი (ხოფ.) კურკუტი (ათინ.) „სიმინდის ნაქუჩი“ რქ კომპლექსი გამკვეთრებული ვარიანტითაც რეალიზდება და ამავე დროს რქ>ქ; რქ>ქ>კ.

**რყ:** მარკათი, მაკათი (ხოფ. ათინ.) „კვეთი“; ფურკი (ათინ.), ფურქი (ვიწ.) ფუქრი „ფოთოლი, ყვავილი“, რყ>კ; რყ>რქ, შდრ. ფუქური (არქ.), ფუქირი (ხოფ.). ვიწურ-ათინური ფორმები გვიანდელია და ევოლუციის ასეთი გზა უნდა გავვლო: ქურ>ქრ>რქ. ასეთი მაგალითები სხვაც გვაქვს და ვფიქრობ რომ სწორედ ისინი უნდა ხსნიდნენ თოფრი „თაფლი“, წიფრი „წიფელა“, ჭუბრი „წაბლი“ და სხვა მისთ. ფორმების არსებობას ათინურ-ვიწურში ნაცვლად „თოფური“, „წიფური“, „ჭუბური“ ფორმებისა. როგორც ჩანს, დღევანდელ ბრ, ფრ-... გვიანდელია და მომდინარეობს შესაბამისად ბურ- ფურ-ფორმებისაგან.

**რყ:** ღურყუ//ღუყუ. ხოფ.), ღური, ხე-ღური (ვიწ.), ხე-ღული (ართაშ.), დიუ; ხეშ-დიუ (არქ.) „იდაყვი“ შდრ. მეგრ. ღუყი. რყ-ს გამარტივების ორი სახეობაა ამ მაგალითში წარმოდგენილი რყ>ყ, რყ>რ. ეს მაგალითი იმითაც არის საინტერესო, რომ აქ ფონემა ყ-ს რეფლექსად ლაზურში ღ- გამოდის [7, 147—151], არნ. ჩიჭობავა რ-ს განვითარებულად მიიჩნევს: რყ>რ; რყ>ყ.

**რზ:** ოზურზუ (ვიწ. არქ.), „დაბუყება“; კირზა//კორზა (ხოფ.), კორზა

(არქ.), კუზი (ვიწ.) „ხის კოვზი“. ხოფურის სარფულ თქმაში იხმარება ფორმა „კიზი“, შდრ. მეგრ. კიზი, კვზი. არ არის გამორიცხული რომ მოცემულ მაგალითში რ განვითარებული იყოს.

**რს:** მსირსუ (ხოფ.), მსურსუ (ვიწ. არქ.) „სირსველა“; ეს კომპლექსი დაბალი სიხშირით ხასიათდება ლაზურში, მაგრამ შეიძლება განვითარდეს, მაგ. სერსი „ხმა“ (თურქ. ses), ლაზურში რ განვითარებულია.

**რუ:** მყურუი (ვიწ. არქ.) „ქელა“, შდრ. მზუჯი (ათინ. არქ.), ქარყალაკი (ვიწ. არქ.), ქარქალაკი (ხოფ.) — ხის ნაჭერი, რომელსაც ზღვა გამოირიყავს ნაპირზე, ცეცხლის დასანთებლად ხმარობენ ლაზები კვარის ნაცვლად.

**რშ:** ოშირშოლუ (არქ.), ოშიშოლუ < ოშირშოლუ (ხოფ.), „არევე-დარევა“, ხორშა (არქ.), ხოშკა (ათინ.). ხოჩკა//ხოჩ-კეტი (ვიწ.), ხაშარი (ხოფ.) „სარი“ რშ შეიძლება გამარტივდეს რშ>შ. თურქულიდან ნასესხებ სიტყვაში რშ კომპლექსი საინტერესო გარდაქმნებს განიცდის ლაზურში თურქ. turşu „წინილი“ ლაზურში ტურში, ტრუში, ტუში ვარიანტების სახით რეალიზდება. რშ>რჩ ზოგჯერ თურქულიდან ნასესხებ სიტყვაში მაგ., çarşaf „ჩადრი“, ლაზ. ჩარჩაჩა (არქ.), დამკვიდრებულია აგრეთვე ჩარშაჩა//ჩაშაჩა ფორმები.

**რლ:** ბურღი (ხოფ.) „ტყის კომბოსტო“; ღარღა (ხოფ.), მწკარ-ღალა (ვიწ. არქ.), წარი-ღალა (ათინ.) „ყარყატი“; მურღი, მუყი (ხოფ.) „მაყვალი“ ორივე შემთხვევაში ყ-ს რეფლექსად ღ- გამოდის. მურღ-ში რ განვითარებულია.

**რხ:** ხორხომიტი (ხოფ. არქ. ვიწ.) „ხერხემალი“, ხურხხ (არქ.), ხურხხი, ხუხი (ხოფ.) „ყელი, ხორხი“, შდრ. ქართ. ხორხი [4, 261]. ხორხომიტი (ხოფ.) „მსხვილი“. რხ შეიძლება გამარტივდეს: რხ>ხ.

შეგვიძლია დავასკვნათ: S<sub>h</sub>C სტრუქტურის ჯგუფები ლაზურისთვის კანონიკურია და რეალიზდებიან გარკვეული დისტრიბუციული შეზღუდვებით — არ გვხვდება ანლაუტის პოზიციაში. გამონაკლისს შეადგენენ ზმნური ძირები, მაგ. რღერი „გაზრდილი“ ზმნისაგან ორღუ „გაზრდა“, მაგრამ ეს ფორმაც ვერ ძლებს ანლაუტში და წინა კომპონენტს კარგავს: დერი < რღერი [2,181]. ასეთი გამონაკლისები მოსალოდნელი იყო რგ-რდ-რთ-რკ-რჩ... კომპლექსების შემცველ ზმნათა პარადიგმებში, მაგრამ ლაზური აქაც გაურბის თავკიდურ პოზიციაში S<sub>h</sub>C სტრუქტურის ჯგუფებს. ლაზურში გვაქვს: ორგამს (არქ. ვიწ. ათინ.), ორგამს (არქ. ვიწ. ათინ.), ორგაფს (ხოფ.) „რგაფს“ და არა „რგამს“, „რგაფს“ ფორმები ზმნისაგან ორგუ „რგვა“; ორდამს და არა რდამს „ზრდის“ ორთამს (ვიწ. არქ.), ორთაფს (ხოფ.) „პყოფს“ და არა რთამს, რთაფს ზმნისაგან „ორთუ“ — „გაყოფა“ და სხვ. აქ წარმოვადგენთ სქემას, რომელიც ასახავს S<sub>h</sub>C სტრუქტურის კონსონანტური ჯგუფების რეალიზაციას და გარდაქმნებს ლაზურში:

<b>რბ</b>	<b>რფ</b>	<b>რპ</b>	
[რბ]	[რფ; რფ/რბ]	[რპ; რპ/რფ]	
<b>რდ</b>		<b>რთ</b>	<b>რტ</b>
[რდ; რდ>დ]	[რთ; რთ>რ; რთ>ტ; რთ>რ>0]		[რტ; რტ>ტ]
<b>რძ</b>		<b>რც</b>	<b>რწ</b>
[რძ; რძ>რზ; რძ>ძ>ზ]	[რც; რც>ც; რც/რწ]	[რწ; რწ/რც; რწ>წ]	
<b>რჯ</b>		<b>რჩ</b>	<b>რჭ</b>
[რჯ; რჯ>ნჯ>ნჯგ რძ//რძ//რწ; რჯ>რძ>რზ; რჯ>რძ>რწ; რჯ>რტ]		[რჩ]	[რჭ>ჭ]
<b>რგ</b>		<b>რქ</b>	<b>რკ</b>
[რგ; რგ>რგ/ათინ./ რგ>გ;]	[რქ; რქ>რკ; რქ>ქ; რქ>ქ>კ]	[რკ>კ, რკ/რქ]	

$\begin{matrix} \text{რზ} & & \text{რყ} & & \text{რხ} \\ [\text{რზ}; \text{რზ} > \text{ზ ან} & & [\text{რყ}; \text{რყ} > \text{ყ}; \text{რყ} > \text{რ}] & & [\text{რხ}; \text{რხ} > \text{ხ}] \\ \text{რზ} > \text{ზ}] & & & & \end{matrix}$

$\begin{matrix} \text{რჟ} & & \text{რშ} \\ [\text{რჟ}; & & [\text{რშ}; \text{რშ} > \text{შ}; \text{რშ} > \text{რჩ}] \\ \text{რღ} & & \text{რხ} \\ [\text{რღ}, \text{რღ} > \text{ღ}] & & [\text{რხ}; \text{რხ} > \text{ხ}] \end{matrix}$

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 31.1.1986)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

Н. С. КУТЕЛИА

ДВУХЭЛЕМЕНТНЫЕ S<sub>r</sub>C СТРУКТУРНЫЕ ГРУППЫ В ЛАЗСКОМ

Резюме

Исторически в лазском образовалась система двухэлементных консонантных групп с сонантами *m, n, r* в начальной позиции. Модель S<sub>m</sub>C, S<sub>n</sub>C является результатом сравнительно позднего фонологического преобразования; модель S<sub>r</sub>C более архаична и восходит к периоду мегрело-лазского языкового единства. Фонемные группы структуры S<sub>m</sub>C, S<sub>n</sub>C, S<sub>r</sub>C являются каноническими для лазского.

LINGUISTICS

N. S. KUTELIA

SYSTEM OF PHONEMIC GROUPS OF THE  
STRUCTURE S<sub>r</sub>C IN LAZ

Summary

A system of two-element consonant groups with the sonants *m, n, r* in the initial position developed historically in Laz. The pattern S<sub>m</sub>C and S<sub>n</sub>C is a result of a relatively later phonological modification; the pattern S<sub>r</sub>C is more archaic and goes back to the period of Megrel-Laz language unity. Phonemic groups of the structure S<sub>m</sub>C, S<sub>n</sub>C and S<sub>r</sub>C are canonical in Laz.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ბ. ქუთელია. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 2, 1979.
2. Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка. СПб., 1910.
3. არნ. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 1938.
4. Г. А. Климов. Этимологический словарь картвельских языков. М., 1964.
5. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბილისი, 1965.
6. ა. თანდილავეა. ლაზურ-ქართული ლექსიკონი (ხელნაწერის უფლებით). თბილისი, 1984.
7. ბ. ქუთელია. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1985.

ზ. კალანდაძე

## რევაზ მარგიანის პატრიოტული ლირიკა

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ციციშვილმა 23.5.1985)

პატრიოტიზმი ყოველი ერის პროგრესული მწერლობის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივია. ამ მოტივს ქართულ პოეზიაში უდიდესი ტრადიციები აქვს.

პატრიოტიზმის თემა ერთ-ერთ ძირითად ნაკადს ქმნის რევაზ მარგიანის შემოქმედებაში. „მამ მომეც სიტყვა, რომ სათქმელი ავაფერადო, ეს შენეული სიმღერები ჩემი ფრთებია! შენ, ჩემო ტკბილო საქართველოვ — ჩემო ბელადო, ცხადში, გეხილოს — რაც ოდესმე დაგსიზმრებია!“ — ეს ოცნება მუდამ თან სდევს პოეტს შემოქმედების გზაზე.

ყველა ადამიანს აქვს საასპარეზო, სადაც იბრძვის, სადაც შრომობს. რევაზ მარგიანისათვის ეს საასპარეზო სამშობლოა („ვიცი, რომ ბევრი გაფრინდა წელი“). პოეტში მამულის სიყვარული ისე მყარადაა გამჯდარი, თითქოს დბადებიდან დაპყლოდეს და ამ გრძნობის გაქრობა მისთვის გარდაცვალებას ნიშნავს („ცისა ფერს ვეტრფი“). უფრო მეტიც: მისი აზრით, პატრიოტული გრძნობა მარადიულია. „სიკვდილის მერეც საქართველოს ვერ მივატოვებ“, — ამბობს პოეტი ომის დროს დაწერილ ლექსში „მადროვე ტყვიავ“.

ფრონტზე, როდესაც ადამიანი სიკვდილის საშიშროების წინაშე დგება, განსაკუთრებულად შეიგრძნობს სიცოცხლის სიყვარულს. პოეტი ბეწვზე გადარჩენია სიკვდილს და მძაფრად განუცდია „სიცოცხლისადმი ტრფიალება“, მაგრამ რად უნდა ადამიანს სიცოცხლე თუ არა სამშობლოს კეთილდღეობისათვის? „მამულისათვის მინდა დავღამდე“, — ასეთია პოეტის მრწამსი და იგი კვლავ იარაღს აღმართავს საბრძოლველად, სიკვდილის შიში ვერ ანელებს მასში პატრიოტულ გრძნობას („ჰე, წუთიერო სიხარულო“).

რევაზ მარგიანი პოეტის მისიად ხალხის სამსახურს თვლის („ნეტავი ვინ მთვლის სიტყვადარბად“). მისი პოეტური ნატურა ვერ ეგუება პასიურ ჰერმეტას. ომისშემდგომ მშვიდობიან დროშიც იგი მუდამ ცხოვრების შუაგულშია, ეხმაურება ყოველგვარ ახალ მოვლენას ქვეყნის ცხოვრებაში.

რევაზ მარგიანი ხატავს არა მარტო საქართველოს აწმყოს, არამედ მის წარსულსაც. „ჯარივით მიჯრილ სტრიქონებში ბოლავს ხანძარი, კუპრსა და კვამლში ჩაძირულა ძველი ტაძარი... ო, ღმერთო ჩემო, ეს რა ძალამ გადაგარჩინა!“ — ასეთი ასოციაციები აღძვრის პოეტს „ქართლის ცხოვრების“ კითხვისას. იგი ფიქრდება სამშობლოს ბედზე. რამდენი ტრაგედია გადაიტანა საქართველომ, რამდენჯერ შემოსევია მას „ვიდაც ყანი, თემურ ლენგი, ჯალალ ედინი“. მაგრამ პოეტი თავისი ქვეყნის ისტორიაში ქართველთა სიმამაცით განათებულ ფერებსაც ხედავს. რადგან „გვეყვდა გმირთ-გმირი აურაცხელი და უთვალავი, ოფლით ნაშენი მათი ქვეტკირი ყოველთვის იყო შეუბღალავი“. სამშობლოს დამცველებს გმირობას ადენინებდა მამულის სიყვარული, გრძნობა, რომელიც „ორგულს ზარავდა, მტერს ბზარავდა, ჩვენ გვიფარავდა“.

რევაზ მარგიანი ისტორიული ამბების უბრალო აღმწერი როდია. იგი სამშობლოს წარსულში ცდილობს დაინახოს ყველაზე უფრო არსებითი და

ნიშნული; ისტორიულ ამბებს მჭიდროდ აკავშირებს თანამედროვეობასთან და მათ აქტუალურ ხშიერებას ანიჭებს.

მზის ჩასვლისას, როდესაც პოეტი გელათს შეჰყურებს, ეჩვენება თითქოს ტაძარი ცეცხლშია გახვეული. „იქნებ დაეცა შავი ხონთქარი“, — შესძახებს იგი. მაგრამ მოჩვენება უმაღვე ქრება და მის გონებაში ასოცირებული საქართველოს ძველი ყოფის სურათი მის მიერვე განცდილ უახლოეს წარსულს, მეორე მსოფლიო ომის საშინელებას უკავშირებდა. „ო, ღმერთო ჩემო, დარდი მაკმარე და მომაცილე ეს მოჩვენება“, — ამ სტრიქონით პოეტი მიგვანიშნებს, რომ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული მშვიდობა არ უნდა დაირღვეს, აღარასოდეს უნდა განმეორდეს ომი.

პოეტის თვალთახედვა სწვდება სამშობლოს მომავალსაც. განუზომელია მისი კრძალვა ბავშვებისადმი, იმედი, რომ, „ჩვენს უბიწო მამულიშვილებს“ ექნებათ უნარი შექმნან კიდევ უფრო უკეთესი, ნათელი მომავალი („ჩუმად“).

რევაზ მარგიანის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წინაპართა სახეებს, რომლებიც სიტყვითა და საქმით ემსახურნენ მამულს.

1966 წ. შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით მრავალმა პოეტმა უძღვნა მას დიდების ჰიმნი, რომელთა შორის უღერს რევაზ მარგიანის ხმაც. ლექსში „უმღერე“ არა მარტო ხოტბაა შესხმული რუსთაველის გენისადმი, არამედ კარგადაცაა დანახული მისი როლი ეროვნული კულტურის განვითარებაში.

რევაზ მარგიანი მოწიწებით ხატავს აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის პორტრეტებს. სტრიქონებში — „შენ და ილია რომ არ გეყოლოდით, რა იქნებოდა ჩვენი მამული?“ — თვალნათლივ ჩანს პოეტის შეხედულება იმის შესახებ, რომ სამშობლო მხოლოდ გეოგრაფიული ცნება არ არის. სიტყვა მამული მოიცავს იმ თანამემამულეთაც, რომლებმაც მთელი შეგნებული ცხოვრება სამშობლოს სამსახურს მოახმარეს.

რევაზ მარგიანის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სვანეთის პეიზაჟებს, მაგრამ მისთვის მშობლიური ბუნება ისეთივე ვრცელი ცნებაა, როგორც სამშობლო. იგი ვატაცებით ხატავს ქართლის, კახეთის თუ საქართველოს სხვა კუთხეთა პეიზაჟებს.

ლექსში „გარნა რაიმე შეედრება“ საქართველოს მიქედვარე ნაკადულები ერთ მთლიან პოეტურ სურათშია შერწყმული. მოისწრაფიან ნაკადულები დაბლა, ბარისაკენ, „გუგუნით აცილებენ საქართველოს ლურჯი მთები“; ისინი უერთდებიან ერთმანეთს და „ერთ სიმღერას აგუგუნებს უკვე ასი ნაკადული“. შემდეგ ასე ერთად შეკავშირებულნი ზღვაში ჩაედინებიან. ეს ლექსი საინტერესოა როგორც ბუნების მომხიბლავი, დინამიური სურათის შექმნით, ისე აზრობრივი დატვირთულობითაც. ზღვა პოეტს სამშობლოდ წარმოუდგება, ნაკადულები საქართველოს კუთხეებად. საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა მკვიდრნი, შეხმატბილებულნი ერთ სიმღერას მღერიან. ესაა ზღვის სიმღერაც, რომელიც მარადიული ენერგიით აღსავსე მუდამ სცემს ტალღას ტალღაზე. ბუნების ამ პლასტიურ ნახატში პატრიოტული აზრია ჩადებული.

პოეტისათვის საქართველოს ბუნება შთაგონების ერთ-ერთი წყაროა. ამიტომ მის მიერ დახატული პეიზაჟი გვიჩვენებს ღირიკული გმირის სუ-

ლიერ სამყაროს, პოეტის დამოკიდებულებას ბუნებისადმი და იგი როგორც მოქალაქე ხმას იმადლებს, რომ ბუნებას მოვლა-პატრონობა, დაცვა სჭირდება („რაც შთამაგონა ჩვენმა ბუნებამ“).

საქართველოს დედაქალაქს არაერთმა პოეტმა უმღერა ლექსი. ამ თემის მრავალხმოვან ანსამბლში რევაზ მარგიანის ხმაც მოისმის („თოვს“, „თბილისს“, „ჩითილი“ და სხვა).

როდესაც მომხდურნი შემოესეოდნენ საქართველოს, ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ მისი გული — თბილისი. დედაქალაქის დამცველთათვის „მამული, ხმალი და გორგასალი“ მუდამ ნუგეში იყო. თითქოს გორგასალის აჩრდილი ყოველთვის გვერდით ედგა მათ. დღეს, როდესაც ქვეყანაში შშვილობა სუფევს, თითქოს კვლავ ჩნდება მისი აჩრდილი, „საუკუნეთა გრძელი ხეივანი დედაქალაქში მოდის ჭილაარა“ და როდესაც ქალაქს გახედავს, იტყვის: „დიდებმა! მზეში ლივლივებს უბერებელი მიწა ქართული, ბოლო მოედო შენს ძველ ტყვილებს, ამაყად დგახარ წელგამართული“ („გორგასალი მოდის“).

რომელ მხარეშიც არ უნდა იყოს პოეტი, სამშობლო როგორც სულის ნაწილი მუდამ მასთანაა („საყვარელო ჩემო“). უცხოეთის გზებზე პოეტს ელანდებიან ქართული ოდები, ვენახები, ცად აზიდული ამაყი მთები. აქ იგი განსაკუთრებულად აღიქვამს თანამემამულეებს, წინაპრებს. მას არ ძალუძს მოწყდეს ქართულ ენას, უნდა აქაც ქართულად ილაპარაკოს („მომწყურდა“).

ლექსის „მივაგენ“ ლირიკულ გმირს მისთვის აქამდე უცნობი რაიმესთვის მიუგნია. მას, როგორც მინდიას ესმის მცენარეთა და ცხოველთა ენა. იგი გოცებულია ამ ენის სინაზით, სისპეტაკით. შეიძლება კი გადასცე, სხვას აღუწერო როგორია ეს ენა? დიახ, იგი მას სხვა ენას აგონებს, იგი „დაახლოებით ისეთია, როგორც ქართული“. როგორც ვხედავთ, პოეტს შშობლიური ენა ბუნების ენად აქვს გამოცხადებული.

რევაზ მარგიანის პოეზია თუმცა ხასიათდება თემების მრავალფეროვნებით, მაგრამ რა თემაზედაც არ უნდა წერდეს პოეტი, მისი ფიქრი სამშობლოსადმია მიპყრობილი; სხვა თემაზე შექმნილ ბევრ ნაწარმოებში პატრიოტული მოტივი პარალელური თემის ან ერთ-ერთი მოტივის სახით შემოჰყავს და ნაწარმოების ძირითადი იდეის განუყოფელ ნაწილად აქცევს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

(შემოვიდა 14.6.1985)

ФИЛОЛОГИЯ

3. Г. КАЛАНДАДЗЕ

## ПАТРИОТИЧЕСКАЯ ЛИРИКА РЕВАЗА МАРГИАНИ

Резюме

Патриотизм — один из основных мотивов в творчестве Реваса Маргиани. Его стихи, касающиеся настоящего, прошлого и будущего его родной страны, ее людей, столицы, природы, родного языка, глубоко пронизаны любовью к Родине.

Патриотическая лирика Реваса Маргиани, которая твердо основывается на почве советского патриотизма, ставит его в ряды певцов родины.

Z. G. KALANDADZE

## PATRIOTIC LYRICS OF REVAZ MARGIANI

## Summary

Patriotism is one of the motifs in the creative work of Revaz Margiani. His verses written during the war, as well as his post-war poetry about the present, the past and the future of his motherland, the distinguished countrymen, the capital, the nature and the mother tongue are inspired with love for his native country.

Patriotic lyrics of Revaz Margiani, firmly based on the ground of Soviet patriotism, ranks him with the singers of the homeland.

ბ. ბრძიბაძე

## ზ ვ ა რ ა ბ ი

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ 22.5.1984)

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით წარმართულ ღვთაებებს, ისეთებსაც კი, რომლებიც ატარებენ გარეული ცხოველის ზომიორფულ სახეს, მსხვერპლად წირავდნენ შინაურ პირუტყვს [1].

რატომაა ზვარაკი შინაური ცხოველი? ნადირიც ეწირებოდა თუ არა ღვთაებებს? ზვარაკად შინაურ პირუტყვს არჩევდნენ, ალბათ, არა მარტო იმიტომ, რომ ამ შესაწირავით უზრუნველყოთ საერთოდ საქონლის, და კერძოდ, შესაწირავის გვარის გამრავლება-მოშენება (მით უფრო, რომ მსხვერპლს სწირავდნენ არა მარტო საქონლის გამრავლების მიზნით, არამედ საერთოდ მიწისა და ყოველგვარი მოსავლის ნაყოფიერება-ბარაქიანობისა და თვით ადამიანის განმრთელობის თუ ოჯახის გამრავლება-სიკეთის უზრუნველსაყოფად და სხვ.). საქმე ისაა, რომ, მსხვერპლშეწირულებას საფუძვლად უდევს ანიმისტური შეხედულება, რომლის მიხედვით, ღვთაებისათვის განკუთვნილია შესაწირის „სული“ [2]. ამდენად, ზვარაკი ცოცხალი უნდა მიიყვანონ საკურთხეველზე. ასეთი კი შინაური ცხოველია; იგი ნებისმიერი შემთხვევისათვის ხელთა ჰყავს შემწირველს.

აღნიშნულთან კავშირში გავიხსენოთ არაერთი ხალხის ისტორიიდან ცნობილი ჩვეულება ადამიანის მსხვერპლად შეწირვისა. ამ შემთხვევაშიც ცოცხალია ზვარაკად შერჩეულ-განწირული ადამიანი და მას საკურთხეველზე კლავენ. მეორე მხრივ, ზოგან ადამიანს ჩაენაცვლა პირუტყვი, მაგრამ არა გარეული, არამედ შინაური, რომელიც ასევე სალ-სალამათია და არც საძებნელ-მოსანადირებელი. რომ სწორედ სულია ღვთაებისათვის შესაწირი, ჩანს ქართული ეთნოგრაფიული მასალიდანაც. სახელობრ, ხეესურთში თუ ვასაყიდად გაიმეტებდნენ შეწირულ ცხოველს, იგი უსულოდ (და, შესატყვისად, ნაკლებ ფასში) უნდა გაეყიდათ [3]. ე. ი. იგულისხმება, რომ ამ შეწირული ცხოველის სული უკვე ღვთაების კუთვნილება იყო.

რაც შეეხება გარეულ პირუტყვს, იგი ვერ შეიწირება, რადგანაც მას ადამიანი უმთავრესად ნანადირევის სახით მოიპოვებს და იგი უკვე მკვდარია. იმ შემთხვევაში კი, თუ საკურთხეველზე მისი ცოცხლად მიყვანა შესაძლებელია, გარეული ცხოველიც გამოდგება ზვარაკად, ანუ არც ნადირი ჩანს ღვთაებისათვის შეუწირავი. გავიხსენოთ თუნდაც საქართველოში საკმაოდ გავრცელებული გადმოცემა იმის შესახებ, რომ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში დღესასწაულისათვის ზვარაკად ერთ დროს ხარის ნაცვლად ირემი იწირებოდა, რომელიც თავად „ცხადებოდა“ ეკლესიის გალავანში, ან „მოყავდა“ თვით წმ. გიორგის [4].

მსოფლიოს სხვა ხალხთა ყოფიდანაც ცნობილია მაგალითები, როცა ღვთაებებს მსხვერპლად ეწირებოდა არაერთი გარეული ცხოველი [2,5], რომელთაც წინასწარ დაჰეროთ (ზოგიერთს ადრეულსავე ასაკში დატყვევებულსა და შინ გაზრდილს) სამსხვერპლოდ ამზადებდნენ.





უფრო მეტიც — აღნიშნულს გარდა საყურადღებო და გასათვალისწინებელია ზოგი მასალა კავკასიის ხალხებში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენებიდან და გადმოცემებიდან, რომელთა მიხედვით, ყველა გარეული ცხოველი ნადირთ პატრონისა თუ ღვთაების კუთვნილებაა<sup>1</sup>. და აი, ეს ღვთაებები მას შემდეგ, რაც თავად შექამენ ნადირს, მისსავე ტყავში გახვეულ ძვლებს კვლავ შემოსავენ ხორცით, ვააცოცხლებენ. შემდეგ კი სწორედ ამ ცხოველს აკვლევინებენ მონადირეს (რაც ამოიცინობა რომელიმე ძვლის სანაცვლოდ ჩადებული ხის ნაჭრით) [6]. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ რამდენადაც ნანადირევი, ხალხის რწმენით, ღვთაებისაგან უკვე შექმულ-შერგებული (გამოდის, მისდამი უკვე შეწირული) და შემდეგ აღდგენილ-გაცოცხლებული ცხოველია, მონადირისაგან აღარ ეგების ამ ცხოველის შეწირვა. თანაც ეს შეუძლებელი ჩანს იმის გამოც, რომ ცხოველის მარტოდენ ხორცს აძლევს მონადირეს ღვთაება — ნანადირევი უ ს უ ლ ო ა. ამიტომაც მონადირეს ნადირთ პატრონისა თუ ღვთაებისაგან უკვე შექმული ცხოველის მხოლოდ-და რქები მიაქვს ჯვარ-ხატების სამსხვერპლოზე, (იქნებ „უბრუნებს“ ღვთაებას მისი კუთვნილი ნადირის ნაწილებს?). გასათვალისწინებელია ის მოსაზრებაც, რომ საქართველოს მთიანეთში მონადირე, გარკვეული რიტუალების დაცვით, უთანაბრდება კულტის მსახურს და, ამდენად, ნადირობა შეიძლება გააზრებულ იქნას მსხვერპლშეწირვად [7]. ორივე შემთხვევაში (ჩაეთვლით მსხვერპლშეწირვას ნადირობამდე მომხდარ ფაქტად თუ ნადირობას გავუთანაბრებთ მსხვერპლშეწირვას) გამოდის, რომ ყველა ნანადირევი ზვარაკია. აღნიშნულის დასტური უნდა იყოს ის ჩვეულება, რომლის მიხედვით იკრძალება ნანადირევის ძვლის გადაგდება-დაკარგვა. ნანადირევიდან სხვისთვის მიერთმეული ნაწილის ძვლიც კი უნდა დაუბრუნდეს მონადირეს, რათა დანარჩენ ძვლებთან ერთად დაიმარხოს ან სათანადო ადგილი მიეჩინოს [6,8]. ე. ი., რომ აღარა ვთქვათ რა ცოცხალი გარეული ცხოველის მსხვერპლად შეწირვის შესაძლებლობაზე, ხალხის შეხედულებით, ყველა ნანადირევიც კი ზვარაკად გაიზრება, მაშინ როცა შინაურ პირუტყვთაგან ყველა არაა სამსხვერპლო.

მაშასადამე, ზვარაკის შერჩევა ემყარება ანიმისტურ შეხედულებას, ღვთაებისათვის მსხვერპლის სულის შეწირვის აუცილებლობის რწმენას და შესატყვის მატერიალურ ბაზას — ცოცხალ შესაწირს, სულდგმულს. ამიტომაცაა, რომ ზვარაკად, უპირატესად, ირჩევენ არა გარეულ (რომელსაც, უმეტესად, მოკლული ნანადირევის სახით მოიპოვებენ), არამედ შინაურ პირუტყვს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა  
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

(შემოვიდა 20.9.1984)

ЭТНОГРАФИЯ

## Н. А. БРЕГАДЗЕ ЖЕРТВЕННОЕ ЖИВОТНОЕ

Резюме

По древним обычаям горцев Восточной Грузии языческим богам, в том числе и тем, чья зооморфная природа проявлялась в образе ди-

(1 სხვა ხალხებშიც ტყის ნადირი ტყის ღვთაების ჯოგადაა მიჩნეული [5].

კიხ ჯივოთნჲ, პრინოსილსჲ ვ ჯერტუ დომასნიე ჯივოთნჲ. პრინოიე ჲოთუ დოლჲო ბილჲოსლჲ ანიმისტინესოე პრედსტავლენიე, პო კოტოროუ ბოგჲმ პრედნაზნაჩაესჲ «დუშა» ჯერტუე, ჲო პოდტვერჲდაესჲ ი გრუზინსკიმ ეთნოგრაფინესკიმ მატერიალჲმ. ა თაკ კაკ დიკოე ჯივოთნოე დობჲვაესჲ, ვ ოსოვნოჲმ, ვო ვრეჲა ოხოტჲ ი ვ ბოლჲინსტვე სლუჩაევ უბიტჲმ, თო ჲეგჲე ი უდობნე ჯერტოვოთჲ იმეშოიუსჲ პოდ რუკოჲ სკოტინუ. ოდნაკო, პო დანნჲმ ეთნოგრაფინიე რაზლიჩნჲმ ნაროდოვ, ვ თოჲ ჩისლე ი გრუზინი, ბოგჲმ პრინოსჲსჲ ვ ჯერტუე ი დიკიე ჯივოთნჲე ვ სლუჩაე, ესლი იჲ მოჲო პრინევისტჲ კ ალტაროჲ ჯივოთნჲე. ბოლეე თოგო, ანალიზ ეთნოგრაფინესკო მატერიალჲ ვჲჲვლჲეს, ჲო პო ნაროდნჲმ პონჲთიჲმ, კადოე უბიტოე ვო ვრეჲა ოხოტჲ ჯივოთნოე ოსმჲსლჲვაესჲ კაკ ჯერტოვო, თოგჲ კაკ ნე კადოე სკოტინოე პრედნაზნაჩაესჲ დღე ჯერტოვპრინოშენიჲ.

სლედოვოტელნო, ვჲბორ ჯერტუე ოპრედელჲესჲ ანიმისტინესკიმ პრედსტავლენიემ, ვეროი ვ ნეობჲდიმოსტჲ პოჲერტოვოთჲ დუში. პოეზოთუ ვ კაჩესტვე ჯერტუე ვჲბირაიოთ გლავნჲმ ობრაზოჲ ნე დიკიე (დობჲვაემჲე ვ ბოლჲინსტვე სლუჩაევ უბიტჲმი), ა დომასნიე ჯივოთნჲე.

ETHNOGRAPHY

N. A. BREGADZE

## SACRIFICIAL ANIMAL

Summary

On the basis of ethnographic material it is shown that gods were offered as sacrifice mainly domestic animals because, according to the animistic belief underlying this rite the object of sacrifice is the soul of the latter. Therefore wild animals are fit for this purpose only in those rare cases when they are caught alive. Consequently, it is more convenient to use domestic animals as sacrifice.

## ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. გ. შაკალაიძე. მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი, 1985.
2. Л. Я. Штернберг. Первобытная религия в свете этнографии. Л., 1936.
3. ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბილისი, 1953.
4. Г. С. Читая. «Вопросы этнографии Кавказа», Тбилиси, 1952.
5. Дж. Фрэзер. Золотая ветвь. М., 1980.
6. თ. ოჩიაური. კრებ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, VII. თბილისი, 1955.
7. З. Г. Кикнадзе. «Кавказско-ближневосточный сборник», VII. Тбилиси, 1984.
8. ა. რობაქიძე. კოლექტიური ნაღრობის გადმონაშთები რაჭაში. თბილისი, 1941.

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში В АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკადემიის პრეზიდიუმში  
В ПРЕЗИДИУМЕ АКАДЕМИИ

21 აგვისტოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტმა ჩაატარა სსრკ — იაპონიის VI ელექტროქიმიური სემინარი. სემინარის თემა იყო ფაზათა გამყოფი საზღვრისა და ელექტროქიმიური კინეტიკის ფუნდამენტური პრობლემები. მოხსენებით გამოვიდნენ პროფ. მ. ენო და მეცნიერებათა დოქტორი რ. ნოტოია (ხოკაიდოს უნივერსიტეტი — საპორო), ს. ხარუიამა (ტოკიოს ტექნოლოგიური ინსტიტუტი), დოქტორი ი. ტომიძე (ლითონთა ნაციონალური ინსტიტუტი — ტოკიო), პროფ. ი. ჰაიაკავა (კოლეჯი სევა — ტოკიო), საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რ. აგლაძე, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლ. ჯაფარიძე, პროფ. ჯ. ჯაფარიძე, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატები გ. აგლაძე და თ. ლეყავა.

21 августа в зале заседаний президиума АН ГССР состоялся организованный Институтом неорганической химии и электрохимии АН ГССР VI Советско-Японский семинар по электрохимии. Тема семинара: «Фундаментальные проблемы строения межфазных границ и электрохимической кинетики. С докладами выступили проф. М. Эно, д-р Р. Нотоя (университет Хоккайдо—Саппоро), проф. С. Харуяма (Токийский технологический институт), д-р И. Томидзука (Национальный исследовательский институт металлов, Токио), проф. Я. Хаякава (Колледж Сова—Токио), акад. АН ГССР Р. И. Агладзе, чл.-корр. АН ГССР Л. Н. Джапаридзе, проф. Дж. И. Джапаридзе, к. х. н. Г. Р. Агладзе и к. х. н. Т. Лежава.

23—28 სექტემბერს ქ. თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების ბაზაზე ჩატარდა თეორიულ და გამოყენებით ფიზიკაში საერთაშორისო კავშირის (ИЮПАП) მორიგი სხდომა. ამ კავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია: ფიზიკის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის სტიმულირება, ყველაზე აქტუალურ გამოკვლევათა კოორდინაცია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზაცია და ფინანსური მხარდაჭერა და სხვ. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 13 მეცნიერმა, რომელთაგან ცხრა უცხოელი იყო (აშშ, საფრანგეთი, ნორვეგია, იაპონია, გერმანია, ინგლისი, შვეიცარია, ჩეხოსლოვაკია). ახლანდელი სხდომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო 1987 წ. ჩასატარებელი ფიზიკოსთა კონფერენციების სიის განხილვა.



25 სექტემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში ჩატარდა სამეცნიერო სესია. საინტერესო მოხსენებები, რომლებიც თანამედროვე ფიზიკის ზოგიერთ აქტუალურ საკითხს მიეძღვნა, წაიკითხეს აკად. ვ. გოლდანსკიმ, აკად. წევრ-კორ. ა. ანდრეევმა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ. ჯ. ლომინაძემ.

23—28 сентября в г. Тбилиси на базе Отделения математики и физики АН ГССР проходило очередное заседание исполкома ИЮПАП (Международный союз по теоретической и прикладной физике). Важнейшие задачи ИЮПАП — это стимулирование международного сотрудничества в области физики, координация наиболее актуальных исследований, организация и финансовая поддержка международных научных конференций и др. В работе совещания участвовали 13 ученых, из них девять представляли зарубежные страны (США, Франция, Норвегия, Япония, ФРГ, Англия, Швеция, ЧССР). Один из важных вопросов нынешнего заседания — обсуждение списка конференций физиков, намеченных провести в 1987 г.

25 сентября в президиуме АН ГССР состоялась научная сессия. С интересными докладами по некоторым актуальным вопросам современной физики выступили акад. В. И. Гольданский, чл.-корр. АН СССР А. Ф. Андреев, чл.-корр. АН ГССР Дж. Г. Ломинадзе.



სესიები, კონფერენციები, თათბირები  
 СЕССИИ, КОНФЕРЕНЦИИ, СОВЕЩАНИЯ

19—20 სექტემბერს ბორჯომში შედგა რესპუბლიკის მეცნიერ-ისტორიკოსთა ტრადიციული VIII შეხვედრა. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. ე. ხარაძემ.

შეხვედრის მთავარი თემა იყო სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები და ისტორიის დარგში სამეცნიერო კვლევა-ძიების პერსპექტივები. ამ საკითხზე მოხსენებით პლენარულ სხდომაზე გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი. მოხსენებაში ხაზი გაესვა იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც აქვს სკკპ XXVII ყრილობის და საქართველოს კპ XVII ყრილობის გადაწყვეტილებებს ჩვენი საზოგადოებრივ ცოდნის მუშაკთა, კერძოდ, ისტორიკოსთა მუშაობის გარდაქმნისათვის, მეცნიერული კვლევა-ძიების დონისა და ხარისხის ამაღლებისათვის. გაანალიზებულ იქნა პირველ რიგში საბჭოთა საზოგადოების ისტორიის კვლევის დარგში არსებული მდგომარეობა, რომელსაც დიდი წვლილის შეტანა მართებს საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის გზების დასახებაში. აღინიშნა, რომ ამ მხრივ ჩვენი ისტორიკოსების მუშაობას ბევრი ნაკლი აქვს. მიუხედავად რესპუბლიკაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში 1981—1985 წლებში საკოორდინაციო გეგმით ისტორიის დარგში გათვალისწინებული სამუშაოების ძირითადად შესრულებისა, ამ გეგმების განხორციელებაში არაერთი ხარვეზი შეიმჩნევა. როგორც ეს, ისე მომდევნო XII

ხუთწლედის (1986—1990 წწ.) საკოორდინაციო გეგმები მოკლებულია საჭირო კონკრეტულობას და აქტუალური საკითხების ჩამოთვლას წარმოადგენს. ჩვენი გეგმების ნაკლია აგრეთვე საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხების დამუშავება დროის მცირე მონაკვეთების, ჩვეულებრივ ხუთწლედების ფარგლებში. გეგმებში სათანადო ადგილს ვერ იკავებს ახალი პრიორიტეტული მიმართულებები, ახალი პერსპექტიული სამუშაოები, ხოლო ზოგიერთი ამგვარი სამუშაო არასაკმაოდ არის დაკომპლექტებული შემსრულებლებით. კვლავ არსებით გაუმჯობესებას მოითხოვს კოორდინაციის საქმე. დღენიდავ საზრუნავი უნდა გახდეს ჩვენი კადრების კვალიფიკაციის ზრდა, მეცნიერული ხელმძღვანელობის გაუმჯობესება. უფრო ფართოდ უნდა მივმართოთ ჩვენი სპეციალისტების სტაჟირებას სსრკ დიდ სამეცნიერო ცენტრებში, ცოცხალი და სისტემატიური კონტაქტების დამყარებას დაწესებულებათა და მის ქვედანაყოფთა შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგი რამ გაკეთდა უმადლესი და საშუალო სკოლისადმი დახმარების ხაზით, ეს საქმეც გაძლიერებულ მოითხოვს. საჭიროა გამოქვეყნდეს უკვე შედგენილი სახელმძღვანელოები და ქრესტომათიები; შედგეს ახალი ამგვარი ნაშრომები. მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს საქართველოს ისტორიის წყაროების გამოსაცემად მომზადებისა და გამოქვეყნების საქმე. მეტი სიფრთხილეა საჭირო ხალხური ტრადიციების შესწავლის შედეგად რეკომენდაციების მიღებისას. დაბოლოს არსებით გაუმჯობესებას მოითხოვს სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციის არაერთი მხარე.

პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა რესპუბლიკის უმადლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამმართველოს უფროსის პროფ. ნ. კირვალიძის, პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის პროფ. დ. სტურუას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის დოც. ნ. ასათიანის, აფხაზეთის, ბათუმის და სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელების (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი შ. ინალ-იფა, აკად. წ/კ. დ. ხახუტაიშვილი, პროფ. ბ. ტეხოვი), საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარის აკად. შ. ძიძიგურის გამოსვლები.

პლენარული სხდომის შემდეგ ჩატარდა სექციების სხდომები, რომელთა მუშაობის შედეგების შესახებ „შეხვედრის“ დასკვნით სხდომას მოახსენეს სექციების ხელმძღვანელებმა: აკად. წ/კ. მ. ლორთქიფანიძემ (ისტორიის პრობლემების სექცია), პროფ. დ. სტურუამ (მეცნიერული კომუნიზმისა და სკკპ ისტორიის სექცია), აკად. ა. აფაქიძემ (არქეოლოგიის სექცია), აკად. წ/კ ა. რობაქიძემ (ეთნოგრაფიის სექცია).

სხდომაზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცკ მდივანი გ. ენუქიძე.

შეხვედრის მონაწილეებმა, შეაჯამეს რა ჩატარებული მუშაობის შედეგები, მოიწონეს სექციათა და პლენარულ სხდომებზე წამოყენებული წინადადებები და რეკომენდაციები.

19—20 сентября в г. Боржоми состоялась традиционная VIII встреча ученых-историков Грузии. Встречу со вступительным словом открыл президент АН ГССР акад. Е. К. Харадзе.

Основная тема встречи: «Решения XXVII съезда КПСС и перспективы научных исследований в области истории». С докладом по



этому вопросу выступил директор Института истории, археологии и этнографии АН СССР им. И. А. Джавахишвили, акад. АН ГССР Г. А. Меликишвили. В докладе было показано то огромное значение, которое имеют решения XXVII съезда КПСС и XXVII съезда КП Грузии для перестройки и повышения уровня и качества научной работы наших работников по общественным наукам, в частности историков. Подверглась анализу в первую очередь обстановка в сфере изучения истории советского общества, которому подлежит играть большую роль в определении путей дальнейшего продвижения советского общества. Было отмечено, что в этом отношении в работе наших историков, имеется немало недостатков. Несмотря на то, что в основном выполнен республиканский координационный план 1981—1985 гг. по общественным наукам, при выполнении плана имеется немало пробелов. Как этот, так и новый координационный план 1986—1990 гг. лишены нужной конкретности и представляют перечень актуальных вопросов. Недостатком наших планов является также наличие в них заданий по изучению вопросов истории Советской Грузии в пределах довольно ограниченных отрезков времени, как правило, в пределах тех или иных пятилеток. В планах не нашли соответствующего отражения приоритетные направления, новые перспективные работы, а некоторые такие работы не в полной мере укомплектованы исполнителями. По-прежнему существенного улучшения требует дело координации научно-исследовательских работ. Необходимы постоянный рост квалификации наших работников, улучшение научного руководства над ними. Следует более интенсивно внедрять в практику работы стажировку наших специалистов в крупных научных центрах СССР, установить непосредственный и постоянный контакт между научными учреждениями и их подразделениями.

Несмотря на то что было сделано немало по линии помощи средней и высшей школе, и в этой области работа нуждается в улучшении. Следует создать новые и опубликовать уже составленные учебники и хрестоматии по истории, археологии и этнографии. Требуется улучшения также дело изучения и публикации источников по истории Грузии. Более осторожный подход нужен в принятии разного рода рекомендаций в результате изучения народных традиций. Наконец, следует существенно улучшить дело организации научной работы.

На пленарном заседании были заслушаны выступления начальника управления общественных наук Министерства высшего и среднего специального образования проф. Н. И. Кирвалидзе, директора Института истории партии при ЦК КП Грузии проф. Д. Г. Стуруа, декана исторического факультета Тбилисского гос. университета доц. Н. Ш. Асатиани, руководителей научно-исследовательских институтов Абхазии, Батуми и Юго-Осетии (докт. ист. наук Ш. Д. Инал-ипа, чл.-корр. АН ГССР Д. А. Хахутайшвили, проф. Б. В. Техов), председателя Комиссии по изучению источников истории Грузии акад. Ш. В. Дзидзигури.

После пленарного заседания состоялись секционные заседания, об итогах которых было доложено на заключительном пленарном за-

седании руководителями секций: чл.-корр. АН ГССР М. Д. Лордкипанидзе (секция проблем истории), проф. Д. Г. Стуруа (секция научного коммунизма и истории КПСС), акад. А. М. Апакидзе (секция археологии), чл.-корр. АН ГССР А. И. Робакидзе (секция этнографии).

На заседании с речью выступил секретарь ЦК КП Грузии Г. Н. Енукидзе.

Участники встречи одобрили высказанные на пленарных и секционных заседаниях предложения и рекомендации.





გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაია  
 ГЕОРГИЙ СПИРИДОНОВИЧ ЧИТАЯ

ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაია.

გ. ჩიტაია დაიბადა 1890 წელს ფოთში. 1911 წელს დაამთავრა თბილისის მეორე გიმნაზია. ამავე წელს სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ქართულ-სომხური ფილოლოგიის სპეციალობით. 1912 წელს უნივერსიტეტის სწავლულთა რეკომენდაციით კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნება ქ. კენიგსბერგში, საიდანაც კვლავ ბრუნდება პეტერბურგში სწავლისა და სამეცნიერო მუშაობისათვის. 1917 წელს გ. ჩიტაია საქართველოში დაბრუნდა და შეუდგა მეცნიერულ მოღვაწეობას.

გ. ჩიტაიას სახელთან დაკავშირებულია ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის მეცნიერების ჩამოყალიბება და განვითარება. ანიჭებდა რა უდიდეს მნიშვნელობას საველე ეთნოგრაფიული მასალის შეკრებას, გ. ჩიტაიამ თავის შრომებში თანდათანობით გამოკვეთა და ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში დანერგა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაზე დაფუძნებული საველე მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი, რომლის მიხედვითაც ეთნოგრაფიული ყოფა შეისწავლება ინტენსიურად, კომპლექსურად, ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ერთიანობის, ისტორიული განვითარების ასპექტით. გ. ჩიტაიამ თავისი გამოკვლევებით პირველმა ნათელყო აღნიშნული მეთოდის უპირატესობა.



მისი მრავალრიცხოვანი შრომები, რომელთა რიცხვი ორასს აღწევს, ძირითადად საველე მასალების საფუძველზეა შედგენილი. იგი დაჯილდოებული იყო ფაქტობრივი მონაცემების მიკვლევის, ფიქსაციის, კლასიფიკაციისა და მეცნიერული ანალიზის დიდი უნარით.

გ. ჩიტაიამ მალალ მეცნიერულ დონეზე შეისწავლა მემინდვრობის სისტემები საქართველოსა და კავკასიაში, სახვნელებისა და შრომის სხვა იარაღების სახეობანი, ხორბლეულის ენდემური ჯიშები, მემინდვრობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი, სოციალურ ურთიერთობათა თავისებურებანი, რწმენა-წარმოდგენები და რიტუალები. ხანგრძლივი, ნაყოფიერი კვლევა-ძიების შედეგად მან დაადგინა, რომ საქართველო ერთ-ერთი დიდად განვითარებული სამიწათმოქმედო კულტურის ქვეყანაა. მემინდვრობის სისტემებისა და სახვნელი იარაღების განვითარების ისტორიის მეცნიერული კვლევის შედეგები მნიშვნელოვან მონაპოვრად იქნა აღიარებული აგროეთნოგრაფიის დარგში და ცნობილი გახდა ეთნოგრაფიის მეცნიერებისათვის როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. რისთვისაც მეცნიერი არჩეული იყო აგრარული ეთნოგრაფიის საერთაშორისო კომიტეტის წევრად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ჩიტაიას ღვაწლი ახალგაზრდობის აღზრდაში. იგი ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის მიერვე დაარსებულ ეთნოგრაფიის კათედრას.

მეცნიერი განსაკუთრებული გულსყურობით ეკიდებოდა სამუზეუმო, ეროვნული საუნჯის დაცვის გაუმჯობესების საქმეს. საკუთარი ინიციატივით შეძლო მან საქართველოს ეთნოგრაფიულ ფონდებში მოეყარა თავი სხვადასხვა მუზეუმებში გაბნეული კოლექციებისათვის, გაემდიდრებინა ისინი ახალი მონაპოვრებით და მოეხდინა მათი პუბლიკაცია ექსპოზიციის მოწყობის გზით. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო სახელმწიფო მუზეუმში არაერთი რეგიონალური, თემატური და ბოლოს საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა, რომელიც დღესაც მოქმედებს. მისი ინიციატივით 1960 წელს დაარსდა ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ.

სამუზეუმო საქმის ცნობილი ორგანიზატორი გ. ჩიტაია იყო სასოფლო-სამეურნეო იარაღების ისტორიის საერთაშორისო კომიტეტის, ხალხური მევენახეობა-მეღვინეობის შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის, ეთნოგრაფიული ატლასის საერთაშორისო საორგანიზაციო კომისიის, მრავალი სამეცნიერო საბჭოსა და სარედაქციო კოლეგიის წევრი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე ეთნოგრაფიის დარგში, აკადემიის პრეზიდიუმის ეთნოგრაფიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ფაზისის სახალხო აკადემიის პრეზიდენტი.

წელთა სიმრავლის მიუხედავად, გ. ჩიტაია ჩვეული ენერგიით ხელმძღვანელობდა ეთნოგრაფიის მეცნიერების განვითარებას. 1936 წელს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიის განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მეცნიერი. ამავე განყოფილებას ხელმძღვანელობდა იგი ისტორიის ინსტიტუტში მისი შექმნის დღიდან, ხოლო 1961 წლიდან იგი განაგებდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორს. მისი სიცოცხლის მიზანი იყო ქართული საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სამსახური.



პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს მეცნიერის ღვაწლი. გ. ჩიტაია დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით, აგრეთვე მრავალი მედლით.

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ნათელი სახელი წარუშლელი იქნება ქართული მეცნიერების ისტორიაში.

Грузинская советская наука понесла тяжелую потерю. Скончался основоположник грузинской советской этнографической науки, академик Академии наук СССР, заслуженный деятель науки, заведующий отделом института истории, археологии и этнографии имени И. А. Джавахишвили, председатель Исторического общества республики, профессор Георгий Спиридонович Читая.

Г. С. Читая родился в 1890 г. в г. Поти. В 1911 г. он окончил Тбилисскую вторую гимназию. В том же году продолжил учебу в Петербургском университете на факультете восточных языков по специальности грузинско-армянской филологии. В 1912 г. по рекомендации ученых университета был послан в г. Кёнигсберг для повышения квалификации, откуда он вновь возвращается в Петербург для продолжения учебы и научной деятельности. В 1917 г. Г. С. Читая вернулся в Грузию и приступил к научной деятельности.

С именем Г. С. Читая связано формирование и развитие грузинской советской этнографической науки. Он придавал огромное значение сбору материалов по полевой этнографии. В работах Г. С. Читая постепенно выделился и внедрился в этнографические исследования основанный на учении марксизма-ленинизма комплексно-интенсивный метод полевых работ, вследствие чего этнографический быт изучается интенсивно, комплексно, на единстве явлений базиса и надстройки, в аспекте исторического развития. Г. С. Читая своими исследованиями первым выявил преимущества отмеченного метода. Многочисленные труды Г. С. Читая в основном составлены на полевых материалах. Он умел находить, фиксировать, классифицировать и научно анализировать найденное.

Г. С. Читая на высоком научном уровне изучил полеводческие системы Грузии и Кавказа, виды орудий земледелия, эндемные виды пшеницы, формы организации труда, связанные с полеводством, постройки хозяйственного типа, особенности социальных отношений, вероисповедания и обрядов. В результате долгой и плодотворной работы ему удалось установить, что Грузия является одним из регионов с высокоразвитой земледельческой культурой. Результаты научного исследования истории развития систем полеводства и орудий земледелия явились открытием в агроэтнографической области и стали известны этнографической науке как в нашей стране, так и за ее пределами. За этот вклад ученый был избран членом Всемирного комитета аграрной этнографии.

Особо нужно отметить заслуги Г. Читая в воспитании молодых научных кадров. Он на протяжении десятков лет руководил основанной им кафедрой этнографии Тбилисского государственного университета.

Ученый с особенным вниманием относился к охране национально-богатства. По собственной инициативе он объединил в этнографический фонд Грузии находящиеся в различных музеях коллекции, обогатил их новыми данными, создав единую экспозицию. Под его руководством было организовано много региональных, тематических, а также единая этнографическая выставка, действующая и сегодня в Государственном музее Грузии. Г. С. Читая был одним из инициаторов создания в 1960 г. Музея грузинского народного зодчества и быта под открытым небом.


Известный организатор музейного дела, Г. С. Читая являлся членом Всемирного комитета истории сельскохозяйственных орудий, Всемирной комиссии по изучению виноградарства и виноделия, Всемирной организационной комиссии этнографического атласа, а также множества научных советов и редакционных коллегий. Г. С. Читая был председателем научно-исследовательского совета Грузинской Советской Энциклопедии в области этнографии, заместителем председателя этнографической комиссии президиума Академии наук республики, президентом народной академии Фазиса.

Даже в преклонные годы Г. С. Читая с неиссякаемой энергией руководил развитием этнографической науки в республике. В 1936 г. ученый возглавил отделение этнографии Института языка, истории и материальной культуры. Этим же отделением он руководил в институте истории со дня его основания, а с 1961 г. — сектором Института истории, археологии и этнографии. Целью его жизни было служение грузинской советской науке и культуре.

Партия и правительство по достоинству оценили заслуги ученого. Г. С. Читая был награжден орденами Трудового Красного Знамени и Дружбы народов, многими медалями.

Светлое имя академика Георгия Читая навсегда останется в истории грузинской науки.





შალვა თომას ძე ჭანიშვილი  
 ШАЛВА ФОМИЧ ЧАНИШВИЛИ

ქართველმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა — 1986 წ. 13 აგვისტოს 86 წლისა გარდაიცვალა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი გამოჩენილი სპეციალისტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი შალვა თომას ძე ჭანიშვილი.

შ. თ. ჭანიშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში 1900 წ. 20 მარტს. რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ განათლება მიიღო იტალიაში, მილანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა მაშინდელი ბორჩალოს მაზრის აგრონომად, შემდეგ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების სპეციალისტი-ინსპექტორად, 1930 წლიდან სასუქებისა და აგრონომიის დამთავრების საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში იკვლევდა სუბტროპიკულ და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებში სასუქების რაციონალური გამოყენების საკითხებს. 1937-1942 წ. იგი გარდაბნის მემინდვრობის საცდელი სადგურის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო ნაწილში. 1942—1952 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილების სწავლული მდივანია, ამავე დროს განაგრძობდა მუშაობას სანაწევრალ მიწათმოქმედების საკითხებზე, რომლებზეც სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 1951 წ. 1953 წ. მიენიჭა პროფესორის წოდება აგროქიმიისა და მემინდვრობის სპეციალობებში. 1955 წ. შ. ჭანიშვილს ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1957 წ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობას ასრულებდა.

1946 წლიდან გარდაცვალებამდე შ. ჭანიშვილი სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიწათმოქმედების კათედრაზე, კითხულობდა ლექციებს. გარდა ამისა, მონაწილეობდა ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის, მიწათმოქმედების ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში.

გამოკვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო შრომა, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია და სახელმძღვანელო. მოამზადა 30 ასპირანტი. იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო, მიწათმოქმედებისა და ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოების წევრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს მიწათმოქმედების სექციის თავმჯდომარე, საზოგადოება „სოდნის“ წევრი.

პროფესორი შ. ჭანიშვილი საქართველოს აგროქიმიის მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელია. რესპუბლიკის საზოგადოებრიობა იცნობდა მას როგორც საქართველოს მეცნიერების საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელს, სპეტაკ, კაცთმოყვარე ადამიანს, მისთვის განუყოფელი იყო სამსახურებრივი მოვალეობა და საზოგადოებრივი საქმე, დაუშრეტელმა შემოქმედებითა ენერჯიამ, დიდმა უნარმა, პრინციპულობამ სამეცნიერო პრობლემების გადაჭრისას და პირადმა თავმდაბლობამ მოუტანეს მას აღიარება და პატივი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ დააფასა შ. ჭანიშვილის დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით და მედლებით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

შ. ჭანიშვილის — მეცნიერის, მოქალაქისა და პატრიოტის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

Общественность Грузии понесла тяжелую утрату. 13 августа 1986 г. на 86-м году жизни скончался один из видных специалистов сельского хозяйства республики, член-корреспондент Академии наук Грузии, заслуженный деятель науки Грузинской ССР, профессор Шалва Фомич Чанишвили.

Ш. Ф. Чанишвили родился в Кутаиси 20 марта 1900 г. После окончания реального училища продолжил образование в Италии, в Миланском сельскохозяйственном институте. По возвращении на родину работал агрономом в тогдашнем Борчалинском уезде, затем — специалистом-инспектором научно-исследовательского отдела в Народном Комиссариате земледелия Грузинской ССР. С 1930 г. в Грузинском филиале Всесоюзного института удобрений и агропочвоведения изучал вопросы рационального применения удобрений при возделывании субтропических и других сельскохозяйственных культур. В 1937—1942 гг. он на посту заместителя директора по научной части Гардабанской опытной станции полеводства. В 1942—1952 гг. работает ученым секретарем Отделения сельского хозяйства Академии наук Грузии и в то же время исследует вопросы пожнивного земледелия в научных учреждениях Академии. В 1951 г. успешно защитил докторскую диссертацию, а в 1963 г. ему было присвоено звание профессора по специальностям агрохимия и полеводство. В 1955 г. Ш. Ф. Чанишвили избирают членом-корреспондентом Академии наук

Грузинской ССР. В 1957 г. он исполнял обязанности академика-секретаря Академии сельскохозяйственных наук Грузии.

С 1946 г. до последних дней жизни профессор Ш. Ф. Чанишвили вел научно-педагогическую работу на кафедре земледелия Грузинского сельскохозяйственного института, читал лекции. Кроме того, он принимал активное участие в научных исследованиях институтов почвоведения, агрохимии и мелиорации, земледелия.

Им было опубликовано около ста научных трудов, в том числе несколько монографий и учебников. Ш. Ф. Чанишвили подготовил к защите диссертации 30 аспирантов. Он являлся членом ученых советов институтов — Грузинского сельскохозяйственного, земледелия и почвоведения, агрохимии и мелиорации, председателем секции земледелия Научного совета Министерства сельского хозяйства республики, членом общества «Знание» Грузинской ССР.

Профессор Ш. Ф. Чанишвили — один из основоположников грузинской агрономической науки. Общественность республики знала его как продолжателя лучших традиций грузинских ученых, честного и благородного человека, для которого служебные обязанности и дела общественные были неотделимы друг от друга. Неиссякаемая энергия, незаурядные творческие способности, принципиальность при решении научных проблем и личная скромность принесли ему почет и признание.

Коммунистическая партия и правительство по достоинству оценили заслуги Ш. Ф. Чанишвили. Он был награжден орденами Октябрьской Революции, Трудового Красного Знамени и «Знак Почета», медалями и Почетными грамотами Президиума Верховного Совета Грузинской ССР. Ему было присвоено почетное звание заслуженного деятеля науки Грузинской ССР.

Светлая память о Ш. Ф. Чанишвили — ученом, гражданине и патриоте — надолго останется в наших сердцах.



## К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ

1. В журнале «Сообщения АН ГССР» публикуются статьи академиков, членов-корреспондентов, научных работников системы Академии и других ученых, содержащие еще не опубликованные новые значительные результаты исследований. Печатаются статьи лишь из тех областей науки, номенклатурный список которых утвержден Президиумом АН ГССР.

2. В «Сообщениях» не могут публиковаться полемические статьи, а также статьи обзорного или описательного характера по систематике животных, растений и т. п., если в них не представлены особенно интересные научные результаты.

3. Статьи академиков и членов-корреспондентов АН ГССР принимаются непосредственно в редакции «Сообщений», статьи же других авторов представляются академиком или членом-корреспондентом АН ГССР. Как правило, академик или член-корреспондент может представить для опубликования в «Сообщениях» не более 12 статей разных авторов (только по своей специальности) в течение года, т. е. по одной статье в каждый номер, собственные статьи—без ограничения, а с соавторами—не более трех. В исключительных случаях, когда академик или член-корреспондент требует представления более 12 статей, вопрос решает главный редактор. Статьи, поступившие без представления, передаются редакции академику или члену-корреспонденту для представления. Один и тот же автор (за исключением академиков и членов-корреспондентов) может опубликовать в «Сообщениях» не более трех статей (независимо от того, с соавторами она или нет) в течение года.

4. Статья должна быть представлена автором в двух экземплярах, в готовом для печати виде, на грузинском или на русском языке, по желанию автора. К ней должны быть приложены резюме—к грузинскому тексту на русском языке, а к русскому на грузинском, а также краткое резюме на английском языке. Объем статьи, включая иллюстрации, резюме и список цитированной литературы, приводимой в конце статьи, не должен превышать четырех страниц журнала (8000 типографских знаков), или шести стандартных страниц машинописного текста, отпечатанного через два интервала (статьи же с формулами—пяти страниц). Представление статьи по частям (для опубликования в разных номерах) не допускается. Редакция принимает от автора в месяц только одну статью.

5. Представление академика или члена-корреспондента на имя редакции должно быть написано на отдельном листе с указанием даты представления. В нем необходимо указать: новое, что содержится в статье, научную ценность результатов, насколько статья отвечает требованиям пункта 1 настоящего положения.

6. Статья не должна быть перегружена введением, обзором, таблицами, иллюстрациями и цитированной литературой. Основное место в ней должно быть отведено результатам собственных исследований. Если по ходу изложения в статье сформулированы выводы, не следует повторять их в конце статьи.

7. Статья оформляется следующим образом: сверху страницы в середине пишутся инициалы и фамилия автора, затем—название статьи; справа сверху представляющий статью указывает, к какой области науки относится она. В конце основного текста статьи с левой стороны автор указывает полное название и местонахождение учреждения, где выполнена данная работа.

8. Иллюстрации и чертежи должны быть представлены по одному экземпляру в конверте; чертежи должны быть выполнены черной тушью на кальке. Надписи на чертежах должны быть исполнены каллиграфически в таких размерах, чтобы даже в случае уменьшения они оставались отчетливыми. Подписи, сделанные на языке основного текста, должны быть представлены на отдельном листе. Не следует приклеивать фото и чертежи к листам оригинала. На полях оригинала автор отмечает карандашом, в каком месте должна быть помещена та или иная иллюстрация. Не должны представляться таблицы, которые не могут уме-



ститься на одной странице журнала. Формулы должны быть четко вписаны чернилами в оба экземпляра текста; под греческими буквами проводится одна черта красным карандашом, под прописными — две черты черным карандашом снизу, над строчными — также две черты черным карандашом сверху. Карандашом должны быть обведены полукругом индексы и показатели степени. Резюме представляются на отдельных листах. В статье не должно быть исправлений и дополнений карандашом или чернилами.

9. Список цитированной литературы должен быть отпечатан на отдельном листе в следующем порядке. Вначале пишутся инициалы, а затем — фамилия автора. Если цитирована журнальная работа, указываются сокращенное название журнала, том, номер, год издания. Если автор считает необходимым, он может в конце указать и соответствующие страницы. Список цитированной литературы приводится не по алфавиту, а в порядке цитирования в статье. При ссылке на литературу в тексте или в сносках номер цитируемой работы помещается в квадратные скобки. Не допускается вносить в список цитированной литературы работы, не упомянутые в тексте. Не допускается также цитирование неопубликованных работ. В конце статьи, после списка цитированной литературы, автор должен подписаться и указать место работы, занимаемую должность, точный домашний адрес и номер телефона.

10. Краткое содержание всех опубликованных в «Сообщениях» статей печатается в реферативных журналах. Поэтому автор обязан представить вместе со статьей ее реферат на русском языке (в двух экземплярах).

11. Автору направляется корректура статьи в сверстанном виде на строго ограниченный срок (не более двух дней). В случае невозвращения корректуры к сроку редакции вправе приостановить печатание статьи или печатать ее без визы автора.

12. Автору выдается бесплатно 25 оттисков статьи.

(Утверждено Президиумом Академии наук Грузинской ССР 10.10.1968; внесены изменения 6.2.1969)

Адрес редакции: Тбилиси 60, ул. Кутузова, 19, телефоны: 37-22-16, 37-86-46.

Почтовый индекс 380060

Условия подписки: на год — 22 руб. 80 коп.



## ავტორთა საყურადღებოდ

1. ჟურნალ „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ ქვეყნდება აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა, აკადემიის სისტემაში მომუშავე და სხვა მეცნიერთა მოკლე წერილები, რომლებიც შეიცავს ახალ მნიშვნელოვან გამოკვლევათა ჭარ გამოთქვეყნებულ შედეგებს. წერილები ქვეყნდება მხოლოდ იმ სამეცნიერო დარგებიდან, რომელთა ნომენკლატურული სია დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდიუმის მიერ.

2. „მოამბეში“ არ შეიძლება გამოქვეყნდეს პოლემიკური წერილი, აგრეთვე მიმოხილვითი ან აღწერითი ხასიათის წერილი ცხოველთა, მცენარეთა ან სხვათა სისტემატიკაზე, თუ მასში მოცემული არაა მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საინტერესო შედეგები.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა წერილები უშუალოდ გადაეცემა გამოსაქვეყნებლად „მოამბის“ რედაქციას, ხოლო სხვა ავტორთა წერილები ქვეყნდება აკადემიკოსთა ან წევრ-კორესპონდენტთა წარდგინებით. როგორც წესი, აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს „მოამბეში“ დასაბეჭდად წელიწადში შეუძლია წარმოადგინოს სხვა ავტორთა არა უმეტეს 12 წერილისა (მხოლოდ თავისი სპეციალობის მიხედვით), ე. ი. თითოეულ ნომერში თითო წერილი. საკუთარი წერილი — რამდენიც სურს, ხოლო თანავტორებთან ერთად — არა უმეტეს სამი წერილისა. გამონაკლის შემთხვევაში როცა აკადემიკოსი ან წევრ-კორესპონდენტი მოითხოვს 12-ზე მეტი წერილის წარდგენას, საკითხს წყვეტს მთავარი რედაქტორი. წარდგინების ვარჯშე შემოსულ წერილს „მოამბის“ რედაქცია წარმოსადგენად გადასცემს აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს. ერთსა და იმავე ავტორს (გარდა აკადემიკოსისა და წევრ-კორესპონდენტისა) წელიწადში შეუძლია „მოამბეში“ გამოაქვეყნოს არა უმეტეს სამი წერილისა (სულ ერთია, თანავტორებთან იქნება იგი, თუ ცალკე).

4. წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, დასაბეჭდად საცეცხით მზა სახით, ავტორის სურვილისამებრ ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს თან უნდა ახლდეს რუსული და მოკლე ინგლისური რეზიუმე, ხოლო რუსულ ტექსტს — ქართული და მოკლე ინგლისური რეზიუმე. წერილის მოცულობა ილუსტრაციებითურთ, რეზიუმეებითა და დამოწმებული ლიტერატურის ნუსხითურთ, რომელიც მის ბოლოში ერთვის, არ უნდა აღემატებოდეს ჟურნალის 4 გვერდს (8000 სასტამბო ნიშანი), ანუ საწერ მანქანაზე ორი ინტერვალით გადაწერილ 6 სტანდარტულ გვერდს (ფორმულებიანი წერილი კი 5 გვერდს). არ შეიძლება წერილების ნაწილებად დაყოფა სხვადასხვა ნომერში გამოსაქვეყნებლად. ავტორისაგან რედაქცია დებულობს თვეში მხოლოდ ერთ წერილს.

5. აკადემიკოსთა ან აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა წარდგინება რედაქციის სახელზე დაწერილი უნდა იყოს ცალკე ფურცელზე წარდგინების თარიღის აღნიშვნით. მასში უეცრად უნდა აღინიშნოს, თუ რა არის ახალი წერილში, რა მეცნიერული ღირებულება აქვს მას და რამდენად უპასუხებს ამ წესების 1 მუხლის მოთხოვნას.

6. წერილი არ უნდა იყოს გადატვირთული შესავლით, მიმოხილვით, ცხრილებით, ილუსტრაციებითა და დამოწმებული ლიტერატურით. მასში მთავარი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი საკუთარი გამოკვლევების შედეგებს. თუ წერილში გზადაგზა, ქვეთავების მიხედვით დამოცემულია დასკვნები, მაშინ საჭირო არაა მათი გამეორებე წერილის ბოლოს.

7. წერილი ასე ფორმდება: თავში ზემოთ უნდა დაიწეროს ავტორის ინიციალები და გვარი, ქვემოთ — წერილის სათაური. ზემოთ მარჯვენა მხარეს, წარმოდგენმა უნდა წააწეროს, თუ მეცნიერების რომელ დარგს განეკუთვნება წერილი. წერილის ძირითადი ტექსტის ბოლოს, მარცხენა მხარეს, ავტორმა უნდა აღნიშნოს იმ დაწესებულების სრული სახელწოდება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია შრომა.

8. ილუსტრაციები და ნახაზები წარმოდგენილ უნდა იქნეს თითო ცალად კონვერტით. ამასთან, ნახაზები შესრულებული უნდა იყოს კალკაზე შავი ტუშით. წარწერები ნახაზებს უნდა გაუკეთდეს კალიგრაფიულად და ისეთი ზომისა, რომ შემცირების შემთხვევაშიც კარგად იკითხებოდეს. ილუსტრაციების ქვემოწარწერების ტექსტი წერილის ძირითადი ტექსტის ენაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალკე ფურცელზე. არ შეიძლება ფორმებისა და ნახაზების დაწებება დედნის გვერდებზე. ავტორმა დედნის კიდელზე დანერგო უნდა აღნიშნოს, რა ადგილას მოთავსდეს ესა თუ ის ილუსტრაცია. არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ისეთი ცხრილი, რომელიც ჟურნალის ერთ გვერდზე ვერ მოთავსდება. ფორმულები მელნით მკა-



ფიოდ უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტის ორივე ეგზემპლარში, ბერძნულ ასოებს ქვემოთ უნდა გან უნდა გაესვას თითო ხაზი წითელი ფანქრით, მთავრულ ასოებს — ქვემოთ ორ-ორი ხაზი ხაზი შავი ფანქრით, ხოლო არამთავრულ ასოებს — ზემოთ ორ-ორი პატარა ხაზი შავი ფანქრით. ფანქრითვე უნდა შემოიფარგლოს ნახევარწრით ნიშნაკებიც (ინდექსები და ხარისხის მანკენებლები). რეზიუმეები წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალ-ცალკე ფურცლებზე. წერილში არ უნდა იყოს ჩასწორებები და ჩამატებები ფანქრით ან მელნით.

9. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დაიბეჭდოს ცალკე ფურცელზე. საჭიროა დაცულ იქნეს ასეთი თანმიმდევრობა: ავტორის ინიციალები, გვარი. თუ დამოწმებულია საყურნალო შრომა, ვუჩვენოთ ავტორის შემოკლებული სახელწოდება, ტომი, ნომერი, გამოცემის წელი. თუ დამოწმებულია წიგნი, აუცილებელია ვუჩვენოთ მისი სრული სახელწოდება, გამოცემის ადგილი და წელი. თუ ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, ბოლოს შეუძლია გვერდების ნუმერაციაც უჩვენოს. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს არა ანბანური წესით, არამედ დამოწმების თანმიმდევრობით. ლიტერატურის მისათითებლად ტექსტსა თუ შენიშვნებში კვადრატულ ფრჩხილებში ნაჩვენები უნდა იყოს შესაბამისი ნომერი დამოწმებული შრომისა. არ შეიძლება დამოწმებული ლიტერატურის ნუსხაში შევიტანოთ ისეთი შრომა, რომელიც ტექსტში მითითებული არ არის. ასევე არ შეიძლება გამოუქვეყნებელი შრომის დამოწმება. დამოწმებული ლიტერატურის ბოლოს ავტორმა უნდა მოაწეროს ხელი, აღნიშნოს სად მუშაობს და რა თანამდებობაზე, უჩვენოს თავისი ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

10. „მომბეში“ გამოქვეყნებული ყველა წერილის მოკლე შინაარსი იბეჭდება რეფერატულ ფურცელში. ამიტომ ავტორმა წერილთან ერთად აუცილებლად უნდა წარმოადგინოს მისი რეფერატი რუსულ ენაზე (ორ ცალად).

11. ავტორს წასაკითხად ეძლევა თავისი წერილის გვერდებდ შეკრული კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით (არაუმეტეს ორი დღისა). თუ დადგენილი ვადისათვის კორექტურა არ იქნა დაბრუნებული, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.

12. ავტორს უფასოდ ეძლევა თავისი წერილის 25 ამონაბეჭდი.

(დამტკიცებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 10.10.1968; შეტანილია ცვლილებები 6.2.1969)

რედაქციის მისამართი: თბილისი 60, კუტუშოვის ქ. № 19; ტელ. 37-22-16, 37-86-42

საფოსტო ინდექსი 380060

ხ ე ლ მ ო წ ე რ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ ი: ერთი წლით 22 მან. 80 კაპ.

6133/209



ԳՅՆՈ 1 ԶՆՆ. 90 ԺՆՆ.  
ЦЕНА 1 РУБ. 90 КОП.